



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მესამე სექცია

საქმე ლოპატა რუსეთის წინააღმდეგ
CASE OF LOPATA v. RUSSIA

(განაცხადი no. 72250/01)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2010 წლის 13 ივლისი

საბოლოო ვერსია

13/10/2010

გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების შემთხვევაში. შესაძლოა ის დაექვემდებაროს რედაქციული ხასიათის გადასინჯვას.

საქმეზე **Lopata v. Russia**,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (მესამე სექცია), შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ჯოზეფ კასადევალი, თავმჯდომარე,
კორნელი ბირსანი,
ბოსტან მ. ზუპანჩიჩი,
ანატოლი კოვლერი,
ალვინა გულუმიანი,
ეგბერტ მაიერი,
ლუის ლოპეს გუერა, მოსამართლეები,
და სანტიაგო კუესადა, სექციის რეგისტრატორი

იმსჯელა განმარტებით 2010 წლის 22 ივნისს,

და ამავე დღეს გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს რუსეთის მოქალაქე, ბ-ნი ალექსანდრ კონსტანტინეს ძე ლოპატას (შემდგომში “განმცხადებელი”) მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (“კონვენცია”) 34-ე მუხლის თანახმად, 2001 წლის 26 მარტს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადიდან (№72250/01).
2. განმცხადებლის ინტერესებს წარმოადგენდნენ ქ-ნი დ. ვედერნიკოვა და ბ-ნი ფილიპ ლიჩი, ადამიანის უფლებათა ევროპული ადვოკატების ცენტრის (EHRAC) ადვოკატები. რუსეთის მთავრობის ინტერესებს წარმოადგენდა ბ-ნი პაველ ლაპტევი, რუსეთის ფედერაციის ყოფილი წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.
3. კერძოდ განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ იგი დაექვემდებარა წამებას და მსჯავრი დაედო იძულების შედეგად მიცემული აღიარების საფუძველზე. განმცხადებლის მტკიცებით წამებასთან დაკავშირებული გამოძიება არ იყო ეფექტიანი და ხელისუფლების ორგანოები ხელს უშლიდნენ მას ინდივიდუალური განაცხადით სტრასბურგის სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ეფექტიან განხორციელებაში.
4. 2005 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით, სასამართლომ განაცხადი ნაწილობრივ მიიღო არსებითად განსახილველად.
5. განმცხადებელმა და მთავრობა წარუდგინეს სასამართლოს წერილობითი კომენტარები (რეგლამენტის 59 § 1 შესაბამისად). პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საჭირო არ იყო ზეპირი მოსმენის გამართვა საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე (სასამართლო რეგლამენტის 59§3 ბოლო ნაწილი), და შესაბამისად მხარეებმა წერილობით გასცეს პასუხი ერთმანეთის კომენტარებს.

შაქტები

I. საქმის გარემოებები

6. განმცხადებელი დაიბადა 1963 წელს და დაკავებამდე ცხოვრობდა ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის სოფელ ახუნოვოში.

ა. განმცხადებლის დაკავება და პატიმრობაში მოთავსება

1. 2000 წლის აგვისტოში განმცხადებლის სავარაუდო დაპატიმრება 14 დღის განმავლობაში

7. 2000 წლის 3 აგვისტოს განმცხადებელი, რამოდენიმე მის თანასოფელთან ერთად, დააკავეს და მოათავსეს უჩალის პოლიციის განყოფილების დროებითი მოთავსების იზოლატორში (ИВС Учалинского ГРОВД, “პოლიციის განყოფილება”). სავარაუდოდ იგი ცემეს და აიძულეს მიეცა აღიარებითი ჩვენება სოფელ ახუნოვოში ვინმე ბ-ნი დ-ს მკვლელობასთან დაკავშირებით. განმცხადებელი დაპატიმრებული იყო 14 დღის განმავლობაში; მისი პატიმრობის სამართლებრივი საფუძველი ბუნდოვანია. თოთხმეტ დღიანი პატიმრობის შემდგომ იგი გაათავისუფლეს.

2. განმცხადებლის დაკავება 2000 წლის სექტემბერში

8. 2000 წლის 5 სექტემბერს, განმცხადებელი კიდევ დააკავეს და წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. იმავე დღეს იგი დაკითხა უჩალის რაიონის პროკურატურის (“რაიონული პროკურატურა”) გამომძიებელმა ხ.ა.-მ, ბაშკორტოსტანის შსს-ს უფროსმა ოპერატიულმა მუშაკმა ვ.გ.-მ, პოლიციის განყოფილების უფროსმა ი.ა.-მ, და კრიმინალური პოლიციის უფროსმა ი.მ.-მ. განმცხადებლის თანახმად დაკითხვის განმავლობაში ხსენებული პირები მასზე ახორციელებდნენ ზეწოლას, რათა მას ელიარებინა დ-ს მკვლელობა. კერძოდ ვ.გ.-მ მას განუმარტა დეტალურად თუ რატომ მოკლა მან დ., და განუცხადა განმცხადებელს, რომ მან ეს დანაშაული იმიტომ ჩაიდინა, რომ დაინახა თუ როგორ იყვნენ დაკავებულნი სქესობრივი აქტით მისი ქალიშვილი და ბ-ნი დ. განმცხადებელმა უარყო დ-ს მკვლელობა.

9. მთავრობის თანახმად, 2000 წლის 5 სექტემბერს, ხ.ა.-მ ფორმალურად აუხსნა განმცხადებელს ბრალდებულის უფლებები, მათ შორის უფასო სამართლებრივი დახმარების მიღების უფლება, და მიაღწრა კონკრეტული პირი ბ-ნი უ.რ., წარმომადგენლად. მთავრობის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ოქმი ხელმოწერილია ხ.ა.-ს მიერ და მასზე არ არის არც განმცხადებლის და არც უ.რ.-ს ხელმოწერები.

10. 2000 წლის 6 სექტემბერს, განმცხადებელმა აიყვანა პირადი ადვოკატი, ა.ა., რათა მას წარმოედგინა მისი ინტერესები. როგორც ჩანს ხსენებულ დღეს და მომდევნო დღეს ადვოკატმა მოინახულა განმცხადებელი პოლიციის განყოფილებაში.

11. 2000 წლის 8 სექტემბერს ხ.ა-მ, რომელიც ხელმძღვანელობდა დ-ს მკვლელობასთან დაკავშირებულ გამოძიებას, ნებართვა გასცა განმცხადებლის წინასწარ პატიმრობაში მოთავსებაზე. განმცხადებელს ბრალად დაედო 2000 წლის 29-30 ივლისის ღამეს მისი ქალიშვილის მეგობარი დ-ს მკვლელობა.

ბ. განმცხადებლის მიმართ განხორციელებული საგარეუდო არასათანადო მოპყრობა

1. განმცხადებლის მიერ მოვლენების აღწერა

12. 2001 წლის აპრილში, განმცხადებლის მიერ რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოსათვის წარდგენილ 6 გვერდიან საჩივარში, რომელსაც თან ერთვოდა დაუთარილებელი დანართები, და რომლითაც განმცხადებელი მოითხოვდა მისი საქმის ზედამხედველობის წესით გადასინჯვას, განმცხადებელი შემდეგნაირად აღწერდა იმ მოპყრობას, რომელსაც იგი საგარეუდოდ დაექვემდებარა 2000 წლის 8-9 სექტემბერს. მისი მონათხრობი შემდეგნაირად შეიძლება იქნეს მოკლედ აღწერილი.

13. 2000 წლის 8 სექტემბრის დაახლოებით დღის 3 საათზე, განმცხადებელი მიიყვანეს უჩაღის პოლიციის განყოფილებაში, სადაც ვ.გ. და ი.ა.მ დახვდნენ. ხ.ა. არ იმყოფებოდა იქ. ვ.გ-მ და ი.ა.მ-მ ზეწოლა განახორციელეს განმცხადებელზე, რათა მას თავისი ნებით დაეწერა “აღიარებითი ჩვენება” (*явка с повинной*) და დაპირდნენ განმცხადებელს, რომ ხსენებულის სანაცვლოდ სთხოვდნენ გამომძიებელს, რომ მას გადაეკვალიფიცირებინა განმცხადებლის დანაშაული აფექტში ჩადენილ გაუფრთხილებელ მკვლელობად. განმცხადებელმა არ აღიარა ბრალი და უარი განაცხადა მოთხოვნილი აღიარებითი ჩვენების მიცემაზე.

14. ი.ა.მ-მ და ვ.გ-მ დაიწყეს განმცხადებლის ცემა. ისინი კედელზე არტყემვინებდნენ განმცხადებელს თავს, ხელებს უტრიალებდნენ, ურტყამდნენ მას კისერსა და მუცელში. ხელისუფლების წარმომადგენლები ცემას ღრო და ღრო წყევდნენ და სთავაზობდნენ განმცხადებელს ელიარებინა დანაშაული. სამჯერ განმცხადებელი აიძულეს კედელზე მიეყრდნო ხელები, ფეხები ფართოდ გაეშალა. ამის შემდგომ ვ.გ. მას იმგვარად ურტყამდა, რომ განმცხადებელს მუხლები ეკეცებოდა და განმცხადებელი ვარდებოდა. განმცხადებელმა უარი განაცხადა აღიარებითი ჩვენების მიცემაზე და პოლიციის ოფიცრებს განუცხადა, რომ არაფერს ეტყოდა მათ მისი ადვოკატის დაუსწრებლად. ხსენებულმა უარყოფამ ცემისა და დარტყმების ახალი ტალღა გამოიწვია. ამის შემდგომ განმცხადებელი უკან წაიყვანეს საკანში სულის მოსათქმელად.

15. დაახლოებით საღამოს 9 საათისათვის, კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილემ გამოიყვანა განმცხადებელი საკნიდან და აიყვანა ი.მ-ს ოთახში, რომელიც მე-2 სართულზე მდებარეობდა. ოფიცრები ი.ა.მ და ვ.გ. ოთახში იყვნენ, ხოლო რ.ხ. გარეთ იდგა. განმცხადებელს აჩვენეს სხვის მიერ დაწერილი აღიარებითი ჩვენება და უბრძანეს, რომ თავადაც ელიარებინა დანაშაული. მას შემდგომ რაც მან აღიარებითი ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა, პოლიციის ოფიცრებმა ჩართეს ტელევიზორი და დაიწყეს განმცხადებლისათვის დარტყმების მიყენება სახისა და მუხლების არეში. ხსენებული გრძელდებოდა დაახლოებით 20 წუთი, ამის შემდგომ ვ.გ-მ პულტის გამოყენებით, ტელევიზორი დააყენა იმგვარ რეჟიმზე, რომ იგი ავტომატურად ჩართულიყო 1 საათში, ხსენებულმა

განმცხადებელს მიაჩნდა, რომ მის ცემასთან დაკავშირებით ცხადებოდა 1 საათიანი შესვენება. რ.ხ-მ, რომელიც ოთახის გარეთ იცდიდა, განმცხადებელს ხელბორკილები დაადო და უკან საკანში ჩაიყვანა.

16. 1 საათის შემდგომ განმცხადებელი კვლავ აიყვანეს უკან ოთახში. ამჯერად ი.მ. შეუერთდა გ.გ.-ს და ი.მ.-ს, ხოლო რ.ხ. კი გარეთ დარჩა. განმცხადებელმა უარი განაცხადა აღიარებითი ჩვენების მიცემაზე. ამის შემდგომ ოფიცრებმა განმცხადებელი მიაბრუნეს კედლისაკენ, კარადიდან გამოიღეს ხელკეტი, ჩახადეს განმცხადებელს შარვალი და დაემუქრნენ მას, რომ გააუპატიურებდნენ ხელკეტით. როგორც კი განმცხადებელმა დაბლა დაუშვა ხელები, რათა აეწია შარვალი, მან მიიღო ხელკეტის მრავლობითი დარტყმა თავში, ზურგსა და მუხლებში. იგი დაეცა და ტუჩი გაიხეთქა კარადის კიდეზე ჩამორტყმისას. მრავლობითი დარტყმისა და პანდურის შემდგომ, ოფიცრებმა ტაიმერი კვლავ 1 საათზე დააყენეს და ი.მ.-მ განმცხადებელი მოათავსა საკანში და მოთავსებისას თავი მიაბრტყმევინა საკნის კარებზე.

17. როდესაც განმცხადებელი კვლავ მიიყვანეს უკან ოთახში, ოფიცრები სვავდნენ ლუდს და განმცხადებელსაც შესთავაზეს. განმცხადებელმა დალია ლუდი და შემდეგ იგი უკან გაგზავნეს საკანში “რათა მას მოეფიქრებინა აღიარებითი ჩვენების მიცემა”.

18. მოგვიანებით განმცხადებელი რამოდენიმეჯერ გამოიყვანეს საკნიდან და სხვადასხვა ოთახებში შეიყვანეს სადაც ი.მ.-მ, ი.მ.-მ, გ.გ.-მ და რ.ხ.-მ ჯერ ჯერით აწამეს იგი სხვადასხვა მეთოდებით. განმცხადებლის ხელები იმგვარად იყო შებორკილი, რომ შეუძლებელი იყო მათი მოძრაობა და ამავე დროს მან მიიღო რამოდენიმე ძლიერი დარტყმა ყურში. კერძოდ, გ.გ.-მ მოკიდა მას მარჯვენა ყურში ხელი და დაუწყო მას მარცხენა ყურში ძლიერი გარტყმები. მესამე გარტყმის შემდგომ განმცხადებელმა იგრძნო თუ როგორ ჩამოდიოდა სითხე მისი მარცხენა ყურიდან.

19. 2000 წლის 9 სექტემბერს, დაახლოებით დილის 5 საათზე, პოლიციის ოფიცრებმა განმცხადებელი მიაცილეს იზოლატორში მდებარე გამომძიებლის ოთახამდე და უბრძანეს მას დაეწერა თუ რას აკეთებდა 2000 წლის 29 ივლისს. როგორც ჩანს განმცხადებელმა რაღაც შეცდომით გააკეთა და ოფიცრებმა “გაფუჭებული” ქაღალდის ნაგლეჯი ჩასწარეს მას პირში და კიდურები ყოველი მხრივ დაუტრიალეს.

20. ბოლოს განმცხადებელი დანებდა და დაწერა აღიარებითი ჩვენება იმგვარად, როგორც ეს მას მიაჩნდა გ.გ.-მ 2000 წლის 5 სექტემბრის პირველი დაკითხვისას. ოფიცრებმა წაიკითხეს ჩვენება და გააგრძელეს მისი ცემა, რათა მას კიდევ უფრო დაწერილებითი ჩვენება მიეცა. განმცხადებელმა დაწერა, რომ 2000 წლის 30 ივლისს დაახლოებით დილის 1.30 სთ-ზე იგი წავიდა თავისი ქალიშვილის საძებნელად და აღმოაჩინა, რომ იგი დაკავებული იყო სქესობრივი აქტით ვიღაც კაცთან, რა დროსაც მისი ქალიშვილი იწვა მიწაზე კაცის ქვეშ. განმცხადებელმა აიღო ხის ნაჭერი, ჩაარტყა კაცს თავში, ხოლო ქალიშვილი კი უკან სახლში გაგზავნა. განმცხადებელმა ვერ შეძლო დაუყოვნებლივ გადაემალა გვამი, რადგანაც მისი სკუტერი გაფუჭებული იყო.

21. 2000 წლის 9 სექტემბერს, დაახლოებით დილის 6:30 წთ-ზე, განმცხადებელი დააბრუნეს საკანში. იმავე დღეს დილის 11 საათზე ი.მ.-მ და გ.გ.-მ ააყენეს

განმცხადებელი და უთხრეს მას, რომ მოხდებოდა მისი ტრანსპორტირება უფაში მდებარე საპატიმრო დაწესებულებაში. განმცხადებელმა პროტესტი გამოთქვა, მას მარჯვენა ყური დაგუბებული ჰქონდა, მარცხენა ყურიდან კი სისხლი და სხვა სითხე სდიოდა. დაახლოებით შუადღის 4 საათზე, ხ.ა-მ გამოიძახა განმცხადებელი და კითხა მას მზად იყო თუ არა იგი, რათა მიეცა ჩვენება. განმცხადებელმა უარი განაცხადა ადვოკატ ა.ა-ს გარეშე ჩვენების მიცემაზე. გამომძიებელმა უთხრა განმცხადებელს, რომ მისი ადვოკატის პოვნა რთული იყო, რადგან შაბათი დღე იყო. განმცხადებელი უკან საკანში დააბრუნეს.

22. 2000 წლის 10 სექტემბერს განმცხადებელი საკანში იყო.

23. 2000 წლის 11 სექტემბერს ი.მ-მ და დროებითი მოთავსების იზოლატორის დირექტორმა, განმცხადებელი კერძო მანქანით, ღია ფერის ჟიგულით, წაიყვანეს ბელორეტსკო მდებარე წინასწარი პატიმრობის იზოლატორში № SI-1/2. განმცხადებელი არ გაუსინჯავს ექიმს და იგი პირდაპირ მოათავსეს მე-13 საკანში, რომლიდანაც იგი გადაიყვანეს 43-ე საკანში. იქი იგი რჩებოდა 3 დღის განმავლობაში. 3 დღის შემდგომ იგი მოათავსეს 30-ე საკანში. განმცხადებლის თანახმად, კერძო მანქანით იგი იმიტომ წაიყვანეს წინასწარი პატიმრობის იზოლატორში, რომ დაეფარათ დაზიანებები.

24. განმცხადებელმა აღწერა ასევე თუ როგორ იყო განლაგებული ოთახები, კარებები, ავეჯი და სხვა ნივთები პოლიციის იმ განყოფილებაში, სადაც მის მიმართ სავარაუდოდ განხორციელდა არასათანადო მოპყრობა.

25. სასამართლოსათვის წარდგენილ 2001 წლის 8 ივნისით დათარიღებულ განაცხადში, განმცხადებელმა ანალოგიურად, თუმცა უფრო დეტალურად და ზუსტად აღწერა ის მოპყრობა, რომელიც განხორციელდა მის მიმართ პოლიციის განყოფილებაში.

2. შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია

ა) განმცხადებლის სამედიცინო ისტორია

26. მთავრობის მიერ წარმოდგენილი განმცხადებლის სამედიცინო ისტორიაში, შემდეგი სახის ჩანაწერები მოიპოვებოდა:

“... 11 სექტემბერი[2000] ჩივილები სასმენ მილში არსებულ ტკივილთან დაკავშირებით კანის საფარის დაზიანება არ შეინიშნება გაიარა დეზინფექცია, ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დიაგნოზი: მწვავე ოტიტისი მარცხენა მხარეს [*обострение хронического отита слева*] ... 25 ოქტომბერი 2001 ... მარცხენა ყურში არ ესმის თუნდაც 5 მეტრიდან ნათქვამი. დიაგნოზი სიერუვე”.

ბ) 2000 წლის 18 სექტემბრის სასამართლო სამედიცინო დასკვნა №1060

27. 2000 წლის 18 სექტემბრის №1060 სასამართლო სამედიცინო დასკვნის თანახმად, რომელიც გამოიცა გამომძიებელ ხ.ა-ს მოთხოვნის შედეგად რომელიც ითვალისწინებდა განმცხადებლის მიმართ სამედიცინო შემოწმების განხორციელებას (იხ. ქვემოთ), 2000 წლის 14 სექტემბერს ექსპერტმა გ-მ გასინჯა განმცხადებელი ა.მ-ს თანდასწრებით, რათა დაედგინა აღენიშნებოდა თუ არა

განმცხადებელს რაიმე სახის დაზიანება. დასკვნის შესაბამისი ნაწილი შემდეგნაირად იკითხება:

“... შემოწმებას ესწრება ბადრაგი [ოფიცერი] ა.მ... შემოწმება დაიწყო 2000 წლის 14 სექტემბერს. შემოწმება დასრულდა 2000 წლის 18 სექტემბერს. საქმის გარემოებები: ... შემოწმების დასკვნიდან გამომდინარეობს, რომ [განმცხადებელმა] განაცხადა, რომ პოლიციის ოფიცრებმა მიმართეს ფიზიკურ ძალადობას მასთან მიმართებაში. ჩივილები: ტკივილი მარცხენა ყურში. ობიექტურად: შემოწმების დროს არ აღენიშნებოდა ხილვადი დაზიანებები... დასკვნა: შემოწმების დროს არ აღენიშნებოდა ტანზე ხილვადი დაზიანებები, ამგვარად შეუძლებელია რაიმე კომენტარის გაკეთება ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით...”

გ) დოკუმენტები, რომლებიც ეხება განმცხადებლის მეურნეობას ქალაქ უჩალის საავადმყოფოში

28. 2000 წლის 21 სექტემბერს, განმცხადებლის ადვოკატმა საჩივრით მიმართა რაიონულ პროკურატურას იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელს არ მეურნეობდნენ მარცხენა ყურში არსებულ ტკივილებთან დაკავშირებით. მეორე დღესვე, რაიონულმა პროკურორმა ბრძანა, რომ განმცხადებელი გადაყვანილიყო ქალაქ უჩალის საავადმყოფოში, რათა იგი შეემოწმებინა ოთოლარინგოლოგს, ხოლო შემდგომ კი განხორციელებულიყო მისი მეურნეობა.

29. 2000 წლის 26 სექტემბერს, განმცხადებლის ადვოკატმა თხოვნით მიმართა საქალაქო საავადმყოფოს, რათა მისთვის წარედგინათ ყველა შესაბამისი ინფორმაცია და სამედიცინო ჩანაწერები, რომლებიც უკავშირდებოდა განმცხადებლის მეურნეობას სავარაუდოდ დაზიანებულ ყურის აპკთან დაკავშირებით. განმცხადებლის ადვოკატი ამ დოკუმენტაციას ითხოვდა სასამართლოში წარსადგენად. კერძოდ იგი სთხოვდა საავადმყოფოს, რათა ექიმებს მიეთითებინათ ზუსტი დიაგნოზი, განხორციელებული მეურნეობა და დაზიანების შედეგები განმცხადებლის ჯანმრთელობისათვის.

30. დაუთარიღებელი პასუხით, საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა შეატყობინა განმცხადებლის ადვოკატს, რომ განმცხადებელი გასინჯა ოთოლარინგოლოგმა, რომელმაც დაუდგინა შემდეგი დიაგნოზი: მწვავე ჩირქოვანი მარცხენა ყურის “ტუბოტუმპოპალიტი” [tympanopachia] და სმენის ოტიტისი. ეს უკანასკნელი ასევე აცხადებდა, რომ იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, კერძოდ კი მეურნეობის ხანგრძლივობასთან და განმცხადებლის ჯანმრთელობისათვის დაზიანების შედეგებთან დაკავშირებით, საჭირო იყო მისი გასინჯვა პირადად ოთოლარინგოლოგის მიერ.

დ) სოფელ ახუნოვოს საავადმყოფოს მიერ გაცემული სამედიცინო მოწმობა

31. ახუნოვოს სოფლის საავადმყოფოს მიერ 2005 წლის 7 თებერვალს გაცემული სამედიცინო მოწმობის თანახმად, განმცხადებელს არ მიუმართავს საავადმყოფოსათვის სამედიცინო დახმარების მიზნით 1997 წლიდან – 2000 წლამდე პერიოდში.

ე) № UYe-394/3 კოლონიის ხელმძღვანელის მიერ გაცემული მოწმობა

32. № UYe-394/3 კოლონიის ხელმძღვანელის ბ-ნი მ-ს მიერ გაცემული მოწმობა, რომელიც დათარიღებული იყო 2004 წლის 8 იანვრით და შედგენილი იყო განმცხადებლის სამედიცინო ისტორიის საფუძველზე, შემდეგ ინფორმაციას შეიცავდა:

“[ბელორეცკის SI-2] დაწესებულებაში 2000 წლის 11 სექტემბერს შესახლებისას [განმცხადებელი] შეამოწმა მორიგე სამედიცინო ოფიცერმა შ-მ, რომელსაც განმცხადებელმა შესჩივლა მარცხენა ყურში არსებულ ტივილთან დაკავშირებით; განმცხადებლის სამედიცინო ისტორიაში არსებული ჩანაწერის თანახმად, მას დიაგნოზად დაუსვეს მწვავე ქრონიკული ოტიტისი მარცხენა ყურში...; შემოწმების დროს კანის საფარი არ იყო დაზიანებული, ხოლო ჯანმრთელობის მდგომარეობა კი დამაკმაყოფილებელი იყო. [განმცხადებლის სახელი] არ ფიქსირდება შესაბამისი დროის სამედიცინო ჩანაწერებში, არც დაზიანებებთან დაკავშირებულ მასალებში და არც ინციდენტებთან და დანაშაულთან დაკავშირებულ მასალებში”.

3. მოწმეთა ჩვენებები

ა) ბელორეცკის № SI-1/2 დაწესებულებაში განმცხადებლის თანამესაკნის ჩვენება

33. განმცხადებელმა წარმოადგინა მისი თანამესაკნის ი.რ-ს 2001 წლის 21 აპრილით დათარიღებული წერილობითი ჩვენება, რომლის თანახმადაც:

“... მე, ი.რ. გამოძიების განმავლობაში მოთავსებული ვიყავი № SI-1/2 დაწესებულებაში, როდესაც 2000 წლის 11 სექტემბერს [განმცხადებელი] შემოასახლეს ჩემს საკანში. სახეზე მას აშკარად დახეთქილი ჰქონდა ტუჩები და ასევე აღენიშნებოდა დაზიანება მარცხენა თვალის ქვეშ; მარცხენა ყური გასიებული ჰქონდა და სისხლის სდიოდა. მე შევეკითხე განმცხადებელს თუ რა დაემართა მას. მან მიპასუხა, რომ უჩაღის პოლიციის განყოფილებაში, ოფიცრებმა სწორედ ამ გზით მოიპოვეს მისგან აღიარება. [განმცხადებელმა] გაიხადა და მიჩვენა ტანზე არსებული დაზიანებები. მას ბევრი დაზიანება აღენიშნებოდა ტანის როგორც წინა მხარეს ასევე უკანა მხარეს. ჯამში, იგი სასტიკად იყო ნაცემი. განმცხადებლის საუბრიდან, მე შევიტყვე, რომ მას თითქმის არაფერი ესმოდა, რადგანაც დაზიანებული ჰქონდა მარცხენა ყური.

ამ მომენტამდე არავის უკითხავს ჩემთვის ხსენებული მოვლენების შესახებ. თუმცა, რადგანაც განმცხადებელმა მომთხოვა ამის გაკეთება ახლა, მე თავს მოვალედ ვგრძნობ დავადასტურო, რომ განმცხადებელს აღენიშნებოდა ცემის ნიშნები, რომელთა შემჩნევაც შესაძლებელი იყო შეუიარაღებელი თვალითაც. მე შემდგომაც მზად ვარ დავადასტურო წინამდებარე ჩვენება. დაწერილია ჩემს მიერ, [ხელმოწერა]”

34. ვ.ზ-ს მიერ 2001 წლის 24 აპრილით დათარიღებული წერილობითი ჩვენება, რომლის ადრესატიც იყო რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლო და რომელიც განმცხადებელმა წარმოადგინა სასამართლოს წინაშე, შემდეგ ამონარიდებს შეიცავდა:

“... 2000 წლის სექტემბერში, მე, ვ.ზ. გამოძიების განმავლობაში შესახლებული ვიყავი № SI-1/2 დაწესებულების მე-13 საკანში. მე მახსოვს, რომ 2000 წლის 11 სექტემბერს [განმცხადებელი] შემოასახლეს ჩემს საკანში. იგი ნაცემი იყო, რაც შეუიარაღებელი თვალითაც შესამჩნევია იყო. რ, რომელიც ასევე იქ იყო, შევეკითხა მას თუ რა მოუვიდა მას. [განმცხადებელმა] უპასუხა, რომ სწორედ ამ გზით მოიპოვეს მისგან აღიარებითი ჩვენება უჩაღის პოლიციის განყოფილებაში. მას ტუჩები დახეთქილი ჰქონდა, მარცხენა ყურიდან სითხე სდიოდა, დაზიანება შეიმჩნეოდა მარცხენა თვალის ქვეშ. ამის შემდგომ მან გვანახა დაზიანებები ტანსა და ფეხებზე. დაწერილია ჩემი ხელით [ხელმოწერა]”

ბ) განმცხადებლის ადვოკატ ა.ა.-ს მიერ წარმოდგენილი ჩვენება

35. რაიონული პროკურორის წინაშე განმცხადებლის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ საჩივარში, რომელიც დათარიღებული იყო 2000 წლის 14 სექტემბრით (იხ. ქვემოთ 39-ე პუნქტი), ა.ა. აცხადებდა:

“... 2000 წლის 12 სექტემბერს... მე.. მივედი ბელორეცკის წინასწარი პატიმრობის № SI-2 ციხეში და განმცხადებელზე შევამჩნიე დაზიანებები და წამების ნიშნები.

სხეულზე არსებული დაზიანებები: იარები მარჯვენა თვალსა და ყურს შორის, ქვედა ტუჩთან მარჯვენა მხარეს, მარცხენა ყურიდან სისხლნარევი სითხის დენა; 15-17×8-10 სმ დაზიანება მზის წნულის მიდამოში, დაზიანებები და დაჩირქება მარცხენა ფეხზე; სისხლჩაქცევა მარჯვენა მუხლზე; ხელობრივების ნიშნები; მარჯვენა თვალის ქვეშ არსებული ჩაღურჯება, ტუჩის შიდა მხარეს არსებული ნახეთქი...”

36. უჩალინსკის საქალაქო სასამართლოსათვის 2000 წლის 17 სექტემბერს წარდგენილ საჩივარში (იხ. პუნქტი 40), განმცხადებლის ადვოკატმა შემდეგი დაზიანებები მოიხსენია:

“.. 12 სექტემბერს მე შევამჩნიე განმცხადებლის სახეზე არსებული დაზიანებები, ტუჩის შიდა მხარეს არსებული ნახეთქი, მარჯვენა თვალის ქვეშ არსებული იარა, იარები და დაჩირქება მარცხენა ფეხზე, მუცლის არეში არსებული უზარმაზარი იარა, უკანა მხარეს თირკმლის მიდამოში არსებული იარა, სისხლჩაქცევა მარჯვენა მუხლზე; იგი ასევე ჩიოდა, რომ მარცხენა ყურის აკი გაუხეთქეს და რომ მუდმივად სდიოდა ყურიდან სისხლნარევი სითხე, რომ ყველა კუნთი, სახსარი და ძვალი სტკიოდა, რადგან იგი დაექვემდებარა ეგრედ წოდებულ ‘ლასტოჩკას’ (‘მერცხალის’) მეთოდს – როდესაც იგი მუცელზე დააწვინეს და ხელები და ფეხები შეუკრეს ზურგის უკანა მხარეს”

გ) განმცხადებლის ძმის ჩვენება

37. განმცხადებლის ძმის წერილობითი ჩვენების თანახმად, 2004 წლის ივნისში მან 2 დღით მოინახულა განმცხადებელი უფაში მდებარე № UYe-393/4 კოლონიაში. განმცხადებელმა მას შესჩივლა ლავიწის ძვლის მარცხენა მხარეს არსებულ ტკივილთან, მარცხენა ყურში სიყრუვის, და თირკმელების მიდამოებში არსებულ ყრუ ტკივილთან დაკავშირებით. ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ხსენებულ პრობლემებს განმცხადებელი უკავშირებდა 2000 წლის სექტემბერში უჩალის პოლიციის განყოფილებაში განხორციელებულ ცემას. განმცხადებლის ძმის თანახმად, მან დაინახა განმცხადებლის ლავიწის ძვალთან ფუნდუკის ზომის ამონაბურცი. განმცხადებელს ხშირად სტკიოდა ლავიწის ძვალი ღამის განმავლობაში და განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ამინდი იცვლებოდა. განმცხადებელს არ ესმოდა მარცხენა ყურში და მუდმივად სდიოდა გამონადენი. იგი ასევე ჩიოდა თირკმელების მიდამოებში მუდმივ ტკივილთან დაკავშირებით. განმცხადებლის ძმის თანახმად, განმცხადებელი ხშირად გადიოდა ტუალეტში.

გ) სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიება

1. რაიონული პროკურატურის მიერ განხორციელებული გამოძიება

38. 2000 წლის 13 სექტემბერს განმცხადებელი დაკითხა ხ.ა-მ მისი ადვოკატის თანდასწრებით. განმცხადებელმა განაცხადა, რომ მას არ მოუკლავს დ. და რომ მისი აღიარებითი ჩვენება მისგან მოიპოვეს განხორციელებული ზეწოლის შედეგად ოფიცრებმა ი.ა.მ-მ, “უფას პოლიციის ოფიცერმა”, “პოლიციის მაიორმა” და “მრგვალსახიანმა პოლიციის ოფიცერმა”.

39. 2000 წლის 14 სექტემბერს განმცხადებლის ადვოკატმა საჩივრით მიმართა რაიონულ პროკურატურას და მოითხოვა წამების ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ი.მ.-ს ი.ა.მ.-ს და ორი უცნობი პოლიციის ოფიცრის წინააღმდეგ. იგი უთითებდა, რომ 2000 წლის 12 სექტემბერს განმცხადებლის მონახულების შემდგომ, მან განმცხადებლის ტანზე შეამჩნია მრავალი დაზიანება და ისინი დეტალურად აღწერა (იხ. 36-ე პუნქტი). მან ასევე განაცხადა, რომ განმცხადებელი აწამეს მისი ხელებისა და ფეხების ზურგსუკან ერთად შეკვრით. ადვოკატი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ პოლიციის ოფიცრებმა განგებ წაიყვანეს 2000 წლის 11 სექტემბერს განმცხადებელი ბელორეცკის SI-2 ციხეში, რათა დაემალათ განმცხადებლის სხეულზე არსებული დაზიანებები და გადაემალათ განმცხადებელი ადვოკატისაგან, ხოლო მკვლელობის საქმის გამომძიებელი კი შეეკრა დამნაშავეებს და ხელი შეუშალა მას თავის კლიენტთან შესვენებაზე, რა დროსაც ყალბად განაცხადა, რომ იმ კონკრეტულ დღეს განმცხადებელი გაყვანილი იყო “შემთხვევის ადგილას მისი ჩვენებების გადასამოწმებლად”. ამით გამომძიებელს უნდოდა ადვოკატი დაერწმუნებინა, რომ განმცხადებელი კვლავ უჩაღში იმყოფებოდა და არა ბელორეცკში. და ბოლოს, ადვოკატმა მოითხოვა განმცხადებლის სამედიცინო შემოწმება.

40. 2000 წლის 17 სექტემბერს, განმცხადებლის ადვოკატმა თხოვნით მიმართა უჩაღინსკის რაიონულ სასამართლოს (“რაიონული სასამართლო”), რათა მას გაეთავისუფლებინა განმცხადებელი. თავის საჩივარში ადვოკატმა ასევე მიუთითა განმცხადებლის მიმართ პოლიციაში ყოფნისას განხორციელებულ სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე და დეტალურად გაიმეორა ის დაზიანებები, რომლებიც მან შენიშნა განმცხადებელზე 2000 წლის 12 სექტემბერს. ადვოკატმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პოლიციის ოფიცრებმა გადამალეს მისგან მისი კლიენტი და 2000 წლის 11 სექტემბერს წაიყვანეს ბელორეცკში № SI-2 საპატიმროში, რომელში შესახლების მომენტშიც, განმცხადებელი არ გაუსინჯავს სამედიცინო პერსონალს. ადვოკატის მტკიცებით, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ 2000 წლის 15 სექტემბერს პროკურორმა გ-მ ბრძანა განმცხადებლის სამედიცინო შემოწმება, ადვოკატს სერიოზული ეჭვები ჰქონდა ამ შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით, რადგანაც სასამართლო სამედიცინო ექსპერტი ფ. შევებულევაში იმყოფებოდა და ამგვარად შემოწმება ჩატარდებოდა ბელორეცკში, ამავე დროს კი უჩაღის პოლიციის განყოფილების ოფიცრებმა მოინახულეს განმცხადებელი ბელორეცკის წინასწარი პატიმრობის ციხეში და დაემუქრნენ მას “მწვავე გართულებებით” თუკი ის “მართებულად არ მოიქცეოდა”.

41. დაუდგენელ დღეს რაიონულმა პროკურატურამ დაიწყო მოკვლევა განმცხადებლის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე. მოკვლევის მიმდინარეობისას რაიონულმა პროკურორმა ჩამოართვა წერილობითი განმარტებები ოფიცრებს ი.მ.-ს, ი.ა.მ.-ს, რ.ხ.-ს, და ვ.გ.-ს.

42. რაიონული პროკურორის წინაშე წარდგენილ წერილობით განმარტებაში, რომელიც დათარიღებული იყო 2000 წლის 21 სექტემბრით, ი.ა.მ-მ განაცხადა, რომ 2000 წლის 9 სექტემბერს მან და “სხვა ოფიცრებმა” წარმართეს “საუბარი” განმცხადებელთან დროებითი მოთავსების იზოლატორში. ხსენებული საუბრის დროს, განმცხადებელმა დაწერა აღიარებითი ჩვენება და დეტალურად აღწერა მის მიერ ჩადენილი მკვლელობის გარემოებები.

43. 2000 წლის 22 სექტემბრით დათარიღებულ წერილობით ჩვენებაში, ი.ა.მ-მ განაცხადა, რომ 2000 წლის 9 სექტემბერს მან და სხვა ოფიცრებმა წარმართეს “საუბარი” განმცხადებელთან პოლიციის შენობაში მდებარე იზოლატორის საკანში. ხსენებული საუბრის დროს განმცხადებელმა თავისი ნებით დაწერა აღიარებითი ჩვენება. ი.ა.მ-ს თანახმად, პოლიციის ოფიცრები არ ჩასულან იზოლატორის საკანში 2000 წლის 8 სექტემბერს და “არ უმუშავიათ განმცხადებელთან” ამ დღეს.

44. რაიონული პროკურორისადმი მიცემულ დაუთარიღებელ წერილობით ჩვენებაში, ვ.გ-მ განაცხადა, რომ 2000 წლის 9 სექტემბერს, იზოლატორის საკანში განმცხადებელთან საუბრისას, ამ უკანასკნელმა დაწერა აღიარება მას შემდგომ, რაც ვ.გ-მ და პოლიციის სხვა ოფიცრებმა მას წარუდგინეს “გარკვეული ინფორმაცია”.

45. 2000 წლის 23 სექტემბრით დათარიღებულ განმარტებაში, რ.ხ-მ განაცხადა, რომ მას არ “დაუმუშავებია განმცხადებელი” და არ მიუღია მისგან აღიარებითი ჩვენება. მან განაცხადა, რომ მხოლოდ თავდაპირველ ეტაპზე, როდესაც განმცხადებელი დააკავეს ადმინისტრაციულ გადაცდომასთან დაკავშირებით, ჰქონდა მასთან შეხება.

46. პოლიციის ყველა ოფიცრმა უარყო “არაკანონიერი მეთოდების” გამოყენება ან განმცხადებლის წამება და განაცხადა, რომ ხსენებული პრეტენზიები ცილისწამება იყო.

47. 2000 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით, რაიონული პროკურორის მოადგილემ უარი განაცხადა პოლიციის იმ ოფიცრების წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების აღძვრაზე, რომლებმაც განმცხადებლის მიმართ განახორციელეს სავარაუდო არასათანადო მოპყრობა. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად:

“2000 წლის 14 სექტემბერს ადვოკატმა ა.ა-მ საჩივრით მიმართა უჩაღის რაიონულ პროკურატურას და განაცხადა, რომ 2000 წლის 8 სექტემბრის დღის 3 საათიდან 2000 წლის 9 სექტემბრის დღის 7 საათამდე მის კლიენტს სცემდნენ პოლიციის ოფიცრები უჩაღის რაიონის პოლიციის განყოფილებაში.

მოკვლევა დაადგინა, რომ [განმცხადებელი] მართლაც იყო მოთავსებული უჩაღის პოლიციის განყოფილებაში დაკავებული სახით 2000 წლის 8 სექტემბრიდან 9 სექტემბრამდე. თუმცა ვერ იქნა დადგენილი, რომ რაიმე სახის ფიზიკური ძალადობა იქნა გამოყენებული მის მიმართ. მიუხედავად განმცხადებლის მტკიცებისა, რომ პოლიციის ოფიცრებმა იგი სასტიკად სცემს და ურტყეს სხეულის პრაქტიკულად ყველა ნაწილში, ხსენებულთან [დაკავშირებით] დაკითხულმა ოფიცრებმა განაცხადეს, რომ მათ არ გამოუყენებიათ რაიმე სახის ძალადობა განმცხადებლის მიმართ; უფრო მეტიც, 2000 წლის 14 სექტემბრის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის თანახმად [განმცხადებლის] სხეულზე ვერ იქნა აღმოჩენილი რაიმე სახის დაზიანება.

ამგვარად, [განმცხადებლის] პრეტენზიები პოლიციის ოფიცრების მიერ მის ცემასთან დაკავშირებით, სერიოზულ ეჭვს იწვევს რეალობასთან მათი შესაბამისობის კუთხით”.

48. ბოლოს, აღნიშნულ იქნა, რომ გადაწყვეტილების შესახებ უნდა ცნობებოდა განმცხადებელს და მას ასევე უნდა მიწოდებოდა ინფორმაცია ამ გადაწყვეტილების ზემდგომი პროკურორის ან სასამართლოს წინაშე გასაჩივრების შესახებ.

49. 2000 წლის 4 ოქტომბრის წერილით რაიონის პროკურორის მოადგილემ უპასუხა განმცხადებლის ადვოკატს, რომ მან განიხილა მისი საჩივარი განმცხადებლის არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით და 2000 წლის 24 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება უარი განეცხადებინა ხსენებულ საჩივართან დაკავშირებით სისხლის სამართალწარმოების აღძვრაზე. წერილში ასევე მითითებული იყო იმის შესახებ, რომ განმცხადებელს შეეძლო გაესაჩივრებინა საქმის აღძვრაზე ხსენებული უარი ზემდგომ პროკურორთან ან რაიონულ სასამართლოში.

2. არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული შემდგომი საჩივრები

50. დაუდგენელ დღეს, განმცხადებლის ადვოკატმა, ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის პროკურორთან წარადგინა საჩივარი განმცხადებლის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობასთან, ისევე როგორც განმცხადებლის მიმართ ოფიცრების ვ.გ.-სა და ი.მ.-ს განგრძობად მუქარებთან დაკავშირებით.

51. 2000 წლის 3 ოქტომბერს, განმცხადებლის ადვოკატმა საჩივარი წარადგინა ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის პროკურორთან, წინასწარი პატიმრობის პერიოდში განმცხადებლის უფლებების სხვადასხვა დარღვევასთან დაკავშირებით და ამავე დროს გაიმეორა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივარი. ადვოკატი ასევე ჩიოდა, რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა, რომელმაც ვერ აღმოაჩინა რაიმე სახის ფიზიკური დაზიანება განმცხადებლის სხეულზე 2000 წლის 14-18 სექტემბერს განხორციელებული შემოწმების შედეგად, ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, რადგანაც გარდა აშკარა ფიზიკური დაზიანებისა, ცემის შედეგად ასევე იქნა დაზიანებული განმცხადებლის თირკმელები და შარდის ბუშტი. ბოლოს, ადვოკატის მტკიცებით, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მან რაიონულ პროკურორს თხოვნით მიმართა ჯეროვანი სამედიცინო შემოწმება ჩატარებოდა განმცხადებელს, მისი ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და შემოწმება არ ჩატარდა.

დ. ადვოკატთან განმცხადებლის კომუნიკაციის სავარაუდო შეზღუდვა

52. განმცხადებლის ადვოკატის თანახმად, 2000 წლის 8 სექტემბერს, მან ნებართვა მიიღო უჩალის პოლიციის განყოფილების უფროსისაგან, რომ მოენახულებინა განმცხადებელი. თუმცა ა.მ.-ს სატელეფონო ზარის შემდგომ, მას უარი განუცხადეს მისი დაცვის ქვეშ მყოფის მონახულებაზე. იმავე დღეს მან საჩივრით მიმართა რაიონულ პროკურატურას.

53. ა.ა.-ს საჩივრის შემდგომ რაიონულმა პროკურატურამ დაკითხა ბადრაგი ჟ.გ. და ოფიცერი ი.ა.მ. ჟ.გ.-მ დაუთარიღებელ წერილობით განმარტებაში განაცხადა, რომ 2000 წლის 8 სექტემბრის დილის დაახლოებით 11 საათსა და 30 წუთზე, ა.ა. მივიდა დროებითი მოთავსების იზოლატორში და წარმოადგინა განმცხადებლის მონახულების ნებართვა. ამ დროს განმცხადებელი იმყოფებოდა გამომძიებელ ხ.ა-

სა და ჟ-გ-სთან ერთად და ამიტომ ბადრაგის სხვა ოფიცრებმა უარი განუცხადეს ადვოკატს განმცხადებლის მონახულებაზე გამომძიებლის თანხმობის გარეშე. ამის შემდგომ ა.ა წავიდა გამომძიებლის სანახავად და აღარ დაბრუნებულა. დაუთარილებელ წერილობით განმარტებაში, ი.ა.მ-მ უარყო ადვოკატისათვის განმცხადებლის მონახულებაზე უარის თქმის ფაქტი და განაცხადა, რომ რადგანაც განმცხადებლის საქმის გამოძიებაზე პასუხისმგებელი იყო პროკურატურა, განმცხადებლის ადვოკატს კლიენტის ნახვის ნებართვა უნდა მოეპოვებინა ხ.ა-სგან.

54. 2000 წლის 25 სექტემბერს, რაიონული პროკურორის მოადგილემ უპასუხა განმცხადებლის ადვოკატს, რომ მან განიხილა ხსენებული საკითხი და ვერ აღმოაჩინა რაიმე სახის დარღვევა.

55. ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის პროკურორისადმის წარდგენილ და 2000 წლის 3 ოქტომბრით დათარიღებულ საჩივარში განმცხადებლის ადვოკატი ჩიოდა, რომ განმცხადებელთან მისი ვიზიტისათვის ხელის შეშლა, არღვევდა განმცხადებლის დაცვის უფლებას. კერძოდ განმცხადებლის საჩივრის თანახმად:

“.. 2000 წლის 8 სექტემბერს მე პირადად მივედი რაიონულ პროკურატურაში ხ.ა-ს სანახავად, რადგანაც მე არ მომცეს უფლება მომენახულებინა განმცხადებელი მისი ნებართვის გარეშე.

რაიონულმა პროკურორმა განმიცხადა, რომ თავად ეძებდა ხ.ა-ს.. მე ვუთხარი რაიონულ პროკურორს, რომ მე არ მომცეს უფლება მომენახულებინა ჩემი კლიენტი დროებითი მოთავსების იზოლატორში, თუმცა ამაზე პროკურორს არანაირი რეაქცია არ ქონია. უფრო მეტიც, პროკურორის მოადგილემ, რომელმაც მიიღო ხსენებულ საკითხთან დაკავშირებული საჩივარი, უყურადღებოდ დატოვა იგი და რეაგირება მოახდინა მხოლოდ 2000 წლის 25 სექტემბერს. [თავის პასუხში] იგი ამტკიცებდა, რომ მე დროებითი მოთავსების იზოლატორში მივედი დილის 11 საათზე და შემდგომ წამოვედი. თუმცა მე მაქვს ჩანაწერი, რომლის თანახმადაც პოლიციის უფროსმა უფლება მომცა მომენახულებინა ჩემი კლიენტი, ამავე დროს როდესაც მე მივედი დროებითი მოთავსების ცენტრში ბადრაგის ოფიცრებმა უარი განაცხადეს ჩემთან ამოეყვანათ განმცხადებელი და მიუთითეს გამომძიებელ ხ.ა-ს შესაბამისი ნებართვის არქონაზე. თუმცა არსებობს ჩანაწერი, რომლის თანახმადაც გამომძიებელს “საუბარი ჰქონდა” განმცხადებელთან საღამოს 4 საათიდან 9 საათამდე იმავე დღეს. ხსენებული პერიოდის განმავლობაში, 8-დან 9 სექტემბრის დამეს, დილის 3-დან 7 საათამდე, განმცხადებელი სასტიკად იქნა ნაცემი ოფიცრების ი.ა.მ-ს, ი.მ-ს, რ.ხ-ს, და ვ.გ-ს მიერ, რომელიც არის ბაშკორტოსტანის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცერი. ეს უკანასკნელი ოფიცერი იყენებდა წამების ყველაზე სრულყოფილ მეთოდებს”.

56. არ არსებობს რაიმე სახის მინიშნება, რომ განმცხადებლის ადვოკატმა მიიღო რაიმე პასუხი თავის საჩივართან დაკავშირებით.

ე. განმცხადებლის სასამართლო პროცესი

1. სასამართლო პროცესი

57. დაუდგენელ დღეს განმცხადებლის საქმე განსახილველად გადაიგზავნა ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის უზალისკის რაიონულ სასამართლოში (“რაიონული სასამართლო”).

58. სასამართლო სხდომის ოქმის თანახმად 2001 წლის 4 იანვარს გამართულ პირველ მოსმენაზე განმცხადებლის ადვოკატმა წარადგინა საჩივარი, რომ განმცხადებლის აღიარებითი ჩვენება მოპოვებული იყო ზეწოლის შედეგად. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ იგი არ შეუშვეს თავის კლიენტთან 2000 წლის 8 სექტემბერს და რომ აღიარებითი ჩვენება გამოძიებამ მოიპოვა მის იქ არყოფნისას. ადვოკატი თხოვნით მიმართავდა სასამართლოს, რათა მას: სხვა საკითხებთან ერთად, პროკურატურიდან გამოეთხოვა საქმის მასალები, რომლებიც ეხებოდა განმცხადებლის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო არასათანადო მოპყრობას; დაეკითხა პოლიციის ოფიცრები, რომლებიც სავარაუდოდ მონაწილეობდნენ განმცხადებლის ცემაში და ასევე დაეკითხა ის ექსპერტი, რომელმაც განმცხადებელი გასინჯა 2000 წლის 14 სექტემბერს და გამოეკითხა თუ როგორ ვერ შენიშნა არასათანადო მოპყრობის კვალი, მაშინ როდესაც თავად ადვოკატმა შენიშნა არასათანადო მოპყრობის კვალი განმცხადებლის სხეულზე; გამოეთხოვა პოლიციის განყოფილებიდან პატიმრების დაკითვის განრიგი; და დაედგინა თუ რამდენჯერ იქნა განმცხადებელი დასაკითხად გაყვანილი საკნიდან 2000 წლის 8-9 სექტემბერს და ასევე გამოეთხოვა ინფორმაცია SI-1/2 წინასწარი პატიმრობის იზოლატორიდან განმცხადებლის სამედიცინო შემოწმებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომლებიც შედგენილ იქნა განმცხადებლის იზოლატორში შესახლებისას. სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა მოკვლევის მასალების წარმოდგენასთან, პოლიციის ოფიცრების დაკითხვასა და დაკითხვის განრიგთან დაკავშირებით, თუმცა უარყო ყველა დანარჩენი მოთხოვნა.

59. სასამართლო მოსმენაზე განმცხადებელმა განაცხადა, რომ იგი უდანაშაულო იყო. მან უარყო, რომ მოკლა დ. და განაცხადა, რომ მისი აღიარებითი ჩვენება მოპოვებულ იქნა არასათანადო მოპყრობის შედეგად. მან განაცხადა, რომ 2000 წლის 8 სექტემბერს დღის 3 საათიდან 2000 წლის 9 სექტემბრის დღის 7 საათამდე ოფიცრები ი.მ. უ.ა.მ და “უფის პოლიციის ოფიცერი” სცემდნენ მას, პირში ქაღალდს სტენიდან, რათა არავის გაეგო მისი ყვირილი. 2000 წლის 11 სექტემბერს, იგი გადაიყვანეს ბელორეცკში №SI-2 იზოლატორში, სადაც იგი არ გაუსინჯავს სამედიცინო პერსონალს. 2000 წლის 14 სექტემბერს, განმცხადებელი წაიყვანეს სამედიცინო შემოწმების გასავლელად, მაგრამ ექსპერტმა თავისი დასკვნა შეადგინა მხოლოდ წერილობითი დოკუმენტაციის საფუძველზე და არ გაუსინჯავს იგი.

60. განმცხადებლის არასრულწლოვანმა ქალიშვილმა ასევე გადათქვა 2000 წლის 5 სექტემბერს მ-ს თანდასწრებით მიცემული ჩვენება, რომელიც იყო ბავშვთა ოთახის ინსპექტორი უჩალის საგანმანათლებლო დეპარტამენტში. ხსენებულ დღეს განმცხადებლის ქალიშვილმა განაცხადა, რომ 2000 წლის 29 ივლისის ღამეს ისინი ერთად იჯდნენ დ-სთან ერთად ხის მორზე. იგი ზემოდან იყო მოქცეული და დ-სთან სექსით იყო დაკავებული. როდესაც მისი მამა გამოჩნდა უცაბედად, მან თავი მოაჩვენა თითქოს მხოლოდ დ-ს გვერდით იჯდა. დანახვისთანავე მამამ სახლში უბრძანა მას წასვლა. მეორე დღეს მამამისი განერვიულებული იყო და დედას განუცხადა, რომ სავარაუდოდ გვამი უკვე აღმოაჩინეს. სასამართლო სხდომაზე მ-მ განაცხადა სასამართლოს წინაშე, რომ განმცხადებლის ქალიშვილმა ჩვენება მისცა თავისი ნებით, გამომძიებლის მხრიდან რაიმე სახის ზეწოლის გარეშე. სასამართლომ ბრძანა ხელნაწერის შემოწმება, რომლის შედეგადაც ექსპერტმა დაადასტურა, რომ განმცხადებლის

ქალიშვილის დაკითხვის შედეგად შედგენილი დოკუმენტები ქალიშვილის ხელით იყო დაწერილი.

61. სასამართლომ დაკითხა 31 პირი. მოწმე ნ-მ, რომელმაც ჩვენება მისცა გამოძიების ვერსიის საწინააღმდეგოდ იმ კუთხით, რომ განაცხადა თუ როგორ დაინახა კერძო მანქანა დანაშაულის ადგილის მახლობლად მკვლელობის დამეს, განაცხადა, რომ “უფის პოლიციის ოფიცერი” ემუქრებოდა მას, რომ თუკი იგი სასამართლოზე მისცემდა განმცხადებლის სასარგებლო ჩვენებას, მას ციხეში გამოამწყვევდნენ. მოწმე ხ-მ, რომელმაც განაცხადა, თუ როგორ დაინახა პირთა ჯგუფი დანაშაულის ადგილას მკვლელობის დამეს, თუ როგორ დავარდა რაღაც მიწაზე და თუ როგორ დაინახა იქვე გაჩერებული მანქანა, განაცხადა, რომ იგი გამოიძახეს პოლიციის განყოფილებაში და ვიღაც ოფიცერმა ს-მ შეეკითხა მას გადაუხადა თუ არა განმცხადებლის ცოლმა მას ქრთამი ჩვენების სანაცვლოდ. ხ. ასევე აცხადებდა, რომ მას ასევე შესთავაზეს ფული თუ გაჩუმდებოდა იმასთან დაკავშირებით რაც დაინახა მკვლელობის დამეს. ოფიცერმა ზ-მ დაადასტურა, რომ 2000 წლის 1 აგვისტოს, ანუ დ-ს გვამის აღმოჩენის მეორე დღეს, დანაშაულის ადგილი მოასუფთავეს სოფლის ადმინისტრაციის ბრძანებით.

62. სასამართლომ დაკითხა ოფიცრები ი.მ, რ.ხ, და ვ.გ. ოფიცერმა ი.მ-მ განაცხადა, რომ 2000 წლის 9 სექტემბერს იგი შეგებულებაში იმყოფებოდა და არ ესწრებოდა განმცხადებლის დაკითხვას. ვ.გ-მ განაცხადა შემდეგი:

“.. მე ვესწრებოდი განმცხადებლის დაკითხვას; მე მხოლოდ მაშინ შევედი, როდესაც მიმდინარეობდა განმცხადებლის დაკითხვა

...

მე დავინახე, თუ როგორ ყვებოდა განმცხადებელი დ-ს მკვლელობის შესახებ...

..

მე არ მახსოვს ვიყავი თუ არა დროებითი მოთავსების იზოლატორში. ალბათ ვიყავი და ვესაუბრე მას..”

63. როგორც ჩანს საქმის მასალებიდან რ.ხ-მ. არ უარყო განმცხადებლის დაკითხვის ფაქტი. ამავე დროს როგორც მასალებიდან ჩანს ეროვნულმა სასამართლომ არ დაკითხა ი.მ როგორც მოწმე. ყველა სხვა ოფიცერმა მყარად უარყო რაიმე სახის “არაკანონიერი მეთოდის” გამოყენება განმცხადებელთან მიმართებაში.

64. დასკვნით სიტყვაში, განმცხადებლის ადვოკატმა სასამართლოს ყურადღება გაამახვილა გამოძიების მასალებში არსებულ სხვადასხვა უზუსტობაზე. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პოლიციის ოფიცრები, რომლებსაც განმცხადებელი ბრალს სდებდა არასათანადო მოპყრობის განხორციელებაში, ცრუობდნენ: მაშინ როდესაც სასამართლოში ისინი აცხადებდნენ, რომ 2000 წლის 9 სექტემბერს მათ არ დაუკითხავთ განმცხადებელი და რომ არ არსებობდა რაიმე სახის ჩანაწერი დაკითხვის მიზნით განმცხადებლის საკნიდან გაყვანასთან დაკავშირებით, თავიანთ ჩვენებებში, რომლებიც პოლიციის ოფიცრებმა მისცეს პროკურატურას წარმოებული მოკვლევისას, მათ ნათლად განაცხადეს, რომ 2000 წლის 9 სექტემბერს ისინი ესაუბრნენ განმცხადებელს და რომ მან სწორედ ამ დღეს გააკეთა აღიარებითი ჩვენება. ადვოკატი აცხადებდა, რომ განმცხადებელი არ გასინჯა ექიმმა ბელორეცკის № SI-2 იზოლატორში შესახლებისას, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი უჩიოდა ტკივილებს ყურის არეში და მას აღენიშნებოდა დაზიანებები სახეზე. გარდა ხსენებულისა, გამოძიებული ხ.ა და

ექსპერტი გ., რომელმაც გასინჯა განმცხადებელი, ადრე ერთად მუშაობდნენ ბელორეცკში და მეგობრები იყვნენ; შესაბამისად მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ექსპერტმა შენიშნა დაზიანებები, მან იმგვარად შეადგინა დასკვნა, როგორც ეს მას მიუთითა ხ.ა-მ.

მსჯავრდება პირველ ინსტანციაში

65. 2001 წლის 15 იანვრის განაჩენით რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო განმცხადებელი დ-ს მკვლელობაში და პირველ რიგში დაეყრდნო მის აღიარებით ჩვენებას, რომელიც გამყარებული იყო მისი ქალიშვილის მიერ წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებით, მოწმეთა ჩვენებებით და სასამართლო სამედიცინო მტკიცებულებებით. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა ღ-ს ჩვენებაზე, რომელმაც ახსენა თუ როგორ გაიგონა დ-ს და განმცხადებლის ქალიშვილის ხმები დანაშაულის ადგილის მახლობლად მკვლელობის დამეს, გ-ს ჩვენება, რომელმაც განაცხადა რომ დაინახა თუ როგორ კოცნიდნენ ერთმანეთს დ. და განმცხადებლის ქალიშვილი მკვლელობის დამეს, გარდაცვლილის გვამის ექსპერტიზამ კი გამოავლინა რამოდენიმე ჭრილობა გარდაცვლილის თავზე.

66. სასამართლომ უარყო განმცხადებლის პრეტენზია, იმასთან დაკავშირებით, რომ მისი აღიარებითი ჩვენება მოპოვებულ იქნა არასათანადო მოპყრობის შედეგად, და მიუთითა პოლიციის ოფიცრების ი.მ-ს, ია.მ-ს და ვ.გ-ს ჩვენებებზე ისევე როგორც ექსპერტის №1060 დასკვნაზე, რომელშიც არაფერი იყო მოხსენებული განმცხადებლის სხეულზე არსებულ დაზიანებებთან დაკავშირებით.

67. საქმის განმხილველ სასამართლოს პასუხი არ გაუცია განმცხადებლის არგუმენტზე იმასთან დაკავშირებით, რომ მისი აღიარება არამხოლოდ ზეწოლის შედეგად იქნა მიღებული, არამედ მოპოვებულ იქნა ადვოკატის დაუსწრებლად. განმცხადებელს მიესაჯა 9 წლიანი პატიმრობა.

68. განმცხადებელმა გაასაჩივრა მისი მსჯავრდება. კერძოდ, სააპელაციო საჩივარში იგი აცხადებდა, რომ მისი აღიარებითი ჩვენება დაუშვებლად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რადგანაც მოპოვებულ იქნა ზეწოლის შედეგად და ადვოკატის დაუსწრებლად. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ი.მ-მ, ია.მ-მ და ვ.გ-მ ცრუ ჩვენებები მისცეს სასამართლოს. გარდა ხსენებულისა, განმცხადებელი ჩიოდა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ იგი ფარულად გადაიყვანეს SI-1/2 წინასწარი პატიმრობის იზოლატორში, სადაც იგი არ გაუსინჯავს ჯეროვნად ექიმს, რათა არ გამჟღავნებულიყო ცემის ნიშნები. განმცხადებლის გადაყვანამ შესაძლებლობა მისცა პოლიციის ოფიცრებს, რათა განმცხადებლისათვის შეეზღუდათ ხელმისაწვდომობა ადვოკატზე და გაეჭიანურებინათ სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება. უფრო მეტიც, ექსპერტმა, რომელმაც ჩაატარა გამოკვლევა 2000 წლის 14 სექტემბერს, მეგობრობდა გამოძიებელთან და გასცა სწორედ ის საექსპერტო დასკვნა, რომელიც ესაჭიროებოდა გამოძიებას.

3. 2001 წლის 15 მარტის განაჩენის გასაჩივრება

69. 2001 წლის 15 მარტს ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი. რაც შეეხება მტკიცებულების სახით განმცხადებლის აღიარების გამოყენებას, რომელიც სავარაუდოდ მოპოვებული იყო ზეწოლის შედეგად, უზენაესმა სასამართლომ

დაადგინა, რომ გამოძიებებმა და საქმის განმხილველმა სასამართლოებმა ყურადღებით განიხილეს განმცხადებლის პრეტენზიები და ჯეროვნად უარყვეს ისინი, როგორც დაუსაბუთებელი პრეტენზიები. კერძოდ, საქმის განმხილველმა სასამართლომ დაკითხა პოლიციის ოფიცრები, რომლებმაც უარყვეს განმცხადებლის მიმართ რაიმე სახის ძალადობის გამოყენება, ხოლო ექსპერტმა კი დაასკვნა, რომ განმცხადებელს არ გააჩნდა რაიმე სახის დაზიანება. აღიარება დაწერილი იყო განმცხადებლის ხელით; მან თავისი ხელით დაადასტურა, რომ ჩვენების მიცემა განახორციელა რაიმე სახის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლის გარეშე. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არაფერს ამბობდა განმცხადებლის პრეტენზიის საპასუხოდ, რომლის თანახმადაც მისი აღიარება მოპოვებულ იქნა მისი ადვოკატის დაუსწრებლად.

ე) განმცხადებლის საგარეულო დაშინება

70. 2003 წლის 15 ოქტომბერს, ევროპულმა სასამართლომ აცნობა მოპასუხე მთავრობას სტრასბურგის სასამართლოში წარდგენილი განაცხადის შესახებ

1. განმცხადებლის ძმის წერილი

71. 2004 წლის 18 იანვარს სასამართლომ ფაქსის საშუალებით მიიღო წერილი განმცხადებლის ძმისაგან (რომელიც თავდაპირველ ეტაპზე წარმოადგენდა თავის ძმას სასამართლოს წინაშე), რომელშიც განმცხადებლის ძმა იუწყებოდა, რომ განმცხადებელს აშინებდნენ და აიძულებდნენ განაცხადის უკან გამოტანას. 2004 წლის 21 იანვრის წერილში განმცხადებლის ძმამ დამატებითი დეტალები წარმოადგინა. იგი შემდეგნაირად აღწერდა ფაქტებს:

“.. მსურს გაცნობოთ იმ საუბრის შესახებ, რომელიც გაიმართა ჩემს ძმასა და დეპარტამენტის კაპიტანს შორის, რომელმაც არ წარუდგინა ჩემს ძმას პირადობის დოკუმენტები და არ უთქვია სახელი და გვარი. ხსენებულს ადგილი ჰქონდა 2004 წლის 6 იანვარს. კაპიტანმა პირველად სთხოვა, ხოლო შემდგომ კი უბრძანა, ჩემს ძმას წერილობით აღეწერა 2000 წელს მომხდარი მოვლენები. მან უთხრა ჩემს ძმას: “შენ იმგვარად უნდა დაწერო, როგორც ეს მე მსურს” ჩემმა ძმამ უპასუხა: “მე არ დავწერ რაიმეს და არც ხელს მოვაწერ ჩემი ადვოკატის გარეშე. კაპიტანი: ‘არ მაინტერესებს არც შენ არც შენი ადვოკატი, ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე ვიტყვი. თქვენ პაიკები ხართ. ისე მოვაწყო, რომ აქ მოკვდები ორ კვირაში, მაგრამ სასურველ ჩვენებას მაინც მომცემ’”

ჩვენ ძალიან გვაშფოთებს ერთი საკითხი. რატომ არ ჩამოვიდა აქ თავად ევროპის სასამართლოში რუსეთის წარმომადგენელი მოსკოვიდან და რატომ მივიდა იქ კაპიტანი და მოსთხოვა განმცხადებელს დაეწერა განმარტება?”

72. 2004 წლის 13 თებერვალს, სასამართლომ მოითხოვა კომენტარების წარდგენა მთავრობისაგან.

73. 2004 წლის 5 აპრილს მთავრობამ აცნობა სასამართლოს, რომ 2004 წლის 6 იანვარს კაპიტანი გ., რომელიც მუშაობდა განაჩენთა აღსრულების ფედერალური სამსახურის ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის განყოფილებაში (“გაფს-ის რეგიონული დეპარტამენტი”), “ესაუბრა” განმცხადებელს “რათა გამოერკვია ის გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ევროპის სასამართლოში მის მიერ განაცხადის წარდგენას”. რაიმე სხვა დამატებითი დეტალის წარდგენის გარეშე, მთავრობამ თავის პასუხს თან დაურთო განმცხადებლის წერილობითი

განმარტება, რომელიც დათარიღებული იყო 2004 წლის 3 მარტით, და რომლის ადრესატიც იყო გაფს-ის რეგიონული დეპარტამენტი.

2. განმცხადებლის მიერ 2004 წლის 3 მარტს გაკეთებული განმარტება

74. განმარტება შემდეგნაირად იკითხებოდა:

“მე მიმიყვანეს ბელორეცკში არსებულ SI-1/2 დაწესებულებაში 2000 წლის სექტემბერში. მე გადამიყვანეს IK-3 [UE 394/3] დაწესებულებაში 2001 წლის მაისში და სასჯელს ვისდი მე-4 ბრიგადაში, მე ვმუშაობ შემდგომად... მე არ გამაჩნია რაიმე სახის პრეტენზიები [ციხის] ადმინისტრაციის ოფიცრებთან მიმართებაში ისევე როგორც ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებით. მე არ დავქმდებარებულვარ რაიმე სახის ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის პენიტენციური დეპარტამენტის ოფიცრების მხრიდან.”

75. 2004 წლის 17 ნოემბერს განმცხადებელმა აიყვანა ადვოკატები ადამიანის უფლებათა ევროპული საადვოკაციო ცენტრიდან (EHRAC), რათა მათ წარმოედგინათ მისი ინტერესები სასამართლოს წინაშე.

3. 2005 წლის 11 ივლისით დათარიღებული განმცხადებლის წერილობითი განცხადება

76. როგორც ჩანს 2005 წლის 8 ივლისს, განმცხადებლის ცოლმა შეთანხმება გააფორმა ჩ.მ-სთან, ადვოკატთან. ხსენებული შეთანხმების თანახმად ადვოკატი უნდა მისულიყო განმცხადებელთან ციხეში და გამოეკითხა იგი კაპიტან გ-სთან გამართული საუბრის შესახებ.

77. 2005 წლის 16 ივლისს, განმცხადებლის წარმომადგენელმა სასამართლოს გადაუგზავნა განმცხადებლის მიერ დაწერილი განცხადება, რომელიც დათარიღებული 2005 წლის 11 ივლისით და შემდეგ შინაარსს შეიცავდა:

“2004 წლის 6 იანვარს, სადილის შემდგომ, მე გამომიძახეს გასაუბრებაზე იმ ოფისში, რომელიც მდებარეობს ავეჯის დეპარტამენტის ინდუსტრიულ ზონაში, სადაც მე ვმუშაობდი. ოფისში მყოფმა პირმა თავი გამაცნო როგორც კაპიტან გ-დ (მე არ მახსოვს მისი სახელი ან მამის სახელი). ჩვენი საუბრიდან გამომარკივე, რომ მან იცოდა ევროპის სასამართლოში ჩემს მიერ შეტანილი განაცხადის შესახებ. მან თავისი იქ ყოფნა იმით ახსნა, რომ მას შეეძლო ჩემი დახმარება.. მან თქვა, რომ თუ იღბლიანი ვიქნებოდი, ჩემი საქმე განიხილებოდა და იგი შესაძლოა უკან დაბრუნებულიყო ჩემთან სასაუბროდ.

მე მოკლედ მოუყევეი მას ჩემს მიერ სტრასბურგში გაგზავნილი საჩივრის შესახებ, კერძოდ ის ფაქტები, რომ ჩემს 2000 წლის 8-9 სექტემბერს უჩაღის პოლიციის განყოფილებაში ოთხმა პოლიციის ოფიცრმა ჩემს მიმართ განახორციელა არასათანადო მოპყრობა. მე დავუკონკრეტე მას, რომ მე კერძო მანქანით მიმიყვანეს ბელორეცკში SI-2 დაწესებულებაში და მე იქ შემასახლეს იმ მომენტში, როდესაც დაწესებულების ხელმძღვანელი არ იმყოფებოდა იქ (ლანჩის დროს) და რომ შესახლებისას არ ჩატარებულა სამედიცინო შემოწმება.

[გ-ს] სურდა, რომ მე დამეწერა, რომ გავიარე სამედიცინო შემოწმება ბელორეცკის SI-2 დაწესებულებაში შესახლებისას. მე ვუთხარი მას, რომ ეს არ შეესაბამებოდა სიმართლეს და უკან გადავუგდე ქაღალდი. მას ეს არ მოეწონა. მან დაიწყო ჩემი დაშინება და მითხრა “მე შენს ცხოვრებას ჯოჯოხეთად გადავაქცევ!” მე ვუპასუხე, რომ არ დავწერდი არაფერს მისი მითითებების შესაბამისად, და დავწერე, რომ არავინ მომიკლავს. ხსენებულზე მან განმიცხადა, “მე ეს არ მჭირდება”. მან დახია პირველი გვერდი, რომელიც მე მისი კარნახის შესაბამისად დავწერე, და შეინახა მეორე...

საუბრის დროს, რომელიც გრძელდებოდა დაახლოებით 30-40 წუთი, გ-მ მკითხა თუ როდის დამაკავეს, მცემეს თუ არა SI-2 ბელორეცკის დაწესებულებაში და წამიყვანეს თუ არა უფაში და მცემეს თუ არა იქ. მას ყველაზე ძალიან აინტერესებდა ჩემს მიერ ბელორეცკის SI-2 დაწესებულებაში გატარებული დრო, რადგანაც მე იქ შესახლებისას არ გამსინჯეს მიუხედავად იმისა, რომ აღმენიშნებოდა ხილვადი დაზიანებები და მე მძალავდნენ ჩემი ადვოკატისაგან. ჩვენი საუბრის შემდგომ მე არ მინახავს გ.”

78. განმცხადებლის განცხადებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ 2004 წლის 3 მარტს, იგი მოინახულეს გაფს-ის რეგიონული განყოფილების ვიცე პოლკოვნიკმა და ლეიტენანტმა. მათ ჰკითხეს თუ როგორ მოახერხა განაცხადის გაგზავნა ევროპულ სასამართლოში და ასევე დაინტერესდნენ განაცხადის შინაარსით, განსაკუთრებით კი მათ აინტერესებდათ განმცხადებლის არასათანადო მოპყრობის გარემოებები და ის ფაქტი გასინჯა თუ არა იგი ექიმმა SI-2 შესახლებისას. ხსენებულთან დაკავშირებით განმცხადებელმა შესაბამისი განმარტება მისცა წერილობით. განმარტება ეხებოდა მხოლოდ 2000 წელს განხორციელებულ ცემას და არ შეიცავდა რაიმე სახის პრეტენზიას UE-394/3 დაწესებულებაში განხორციელებულ მოპყრობასთან დაკავშირებით. ხსენებული ორი პირის წასვლის შემდგომ, განმცხადებელს მიუხდა მისი სამუშაოს მიტოვება და იგი გადაიყვანეს სარდაფში №14 საკანში, სადაც პატიმრობის პირობები უარესი იყო კოლონიის სხვა ნაწილში არსებულ საკნებთან შედარებით.

79. განმცხადებლის მიერ 2005 წლის 11 ივლისს შედგენილი განცხადების თანახმად, 2004 წლის 3 მარტს იგი ასევე მოინახულა პროკურორმა, რომელსაც მან მიწერა უჩაღის პოლიციის განყოფილებაში მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შესახებ. პროკურორი შეეცადა დაერწმუნებინა იგი, რომ ხელახლა შეისწავლიდა საკითხს.

80. 2005 წლის 5 ივლისს განმცხადებელი კვლავ მოინახულა პროკურორმა, რომელიც არ გაეცნო მას. მანაც იგივე საკითხებთან დაკავშირებით გამოკითხა განმცხადებელი, როგორც წინა პირებმა.

81. ბოლოს განმცხადებელმა აღნიშნა, რომ იგი შევიწროებას განიცდიდა მის მიერ სტრასბურგის სასამართლოში წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით და შიშობდა, რომ განაცხადი უარყოფითად იმოქმედებდა მის UE-394/3 დაწესებულებაში შემდგომ ყოფაზე.

4. ჩ.მ-ს წერილობითი განცხადება

82. ჩ.მ-ს მიერ დაწერილი დაუთარიღებელი განცხადება, რომელიც განმცხადებლის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს, შემდეგი შინაარსის იყო:

“მე. ჩ.მ., ბაშკორტოსტანის ადვოკატთან ასოციაციის ადვოკატმა, 2005 წლის 8 ივლისს გავაფორმე შეთანხმება განმცხადებლის მეუღლესთან იმ მიზნით, რომ მომენახულებინა განმცხადებელი №394/3 კოლონიაში.

2005 წლის 11 ივლისს, დილის 9.30 საათიდან 11.30 საათამდე, მე ვესაუბრე განმცხადებელს, რა დროსაც მე მას ვკითხე სტრასბურგის სასამართლოში მის მერ წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით განხორციელებული დაშინების შესახებ.

საუბრისას განმცხადებელი თავშეკავებულად იქცეოდა და მოხოვდა არ მიმეთითებინა ბევრ გარემოებაზე ჩემს განმარტებაში; ზოგჯერ იგი ჩურჩულზე გადადიოდა. მან თავისი ქცევა ახსნა (მთელი საუბრის განმავლობაში) შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის 2 ოფიცრის იქ ყოფნით, რომლებიც არ მაღავედნენ თავიანთ ინტერესებს ჩვენს საუბართან დაკავშირებით. .. ხსენებულის მხედველობაში მიღებით, მე აუცილებლად ვთვლი განემარტო და გავამყარო განმცხადებლის წერილობითი განცხადებები, იმ დეტალებით, რომელიც მას არ შეუტანია თავის წერილობით განცხადებაში.

საუბრისას, განმცხადებელმა ამიხსნა, რომ ბ-ნმა გ-მ, რომელიც მასთან მივიდა 2004 წლის 6 იანვარს, დაკითხა იგი მის მიერ სტრასბურგის სასამართლოში წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით, რაზეც განმცხადებელმა უპასუხა მას, რომ განაცხადის ძირითადი პრეტენზია ეხებოდა 2000 წლის 8-9 სექტემბერს პოლიციის ოფიცრების მიერ განხორციელებულ მის სასტიკად ცემას უჩაღის პოლიციის განყოფილებაში. ცემისას მას აიძულებდნენ დაეწერა აღიარება, რასაც იგი უარყოფდა და ამის შემდგომ ცემა გრძელდებოდა.

გ-მ ეჭვი გამოხატა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ პოლიციელები ასე მოიქცნენ, თუნდაც იმის თქმით, რომ პოლიციელებს არ შეეძლოთ მისთვის მიეყენებინათ დაზიანებები. გ-მ ასევე ჰკითხა მას თუ რა მდგომარეობაში მიიყვანეს იგი ბელორეცკის SI-2 დაწესებულებაში. განმცხადებელმა უპასუხა მას, რომ აღენიშნებოდა სხეულის მრავლობითი დაზიანება. SI-2 წინასწარი პატიმრობის დაწესებულების ოფიცრებმა, განსაკუთრებით კი ექიმებმა, შეამჩნიეს მისი დაზიანებები, მაგრამ გარკვეული პირებისაგან ინსტრუქციების მიღების შემდგომ, განგებ არ გასინჯეს განმცხადებელი და არ გახსნეს განმცხადებლის სამედიცინო ისტორია. გ-მ უპასუხა მას, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგანაც განმცხადებლის სამედიცინო დასკვნა არ უთითებს სხეულის რაიმე სახის დაზიანებაზე. განმცხადებელმა აუხსნა მას, რომ იგი არ გაუსინჯავთ SI-2 დაწესებულებაში შესახლებისას და სწორედ ამ მომენტში გ. გაბრაზდა და დაიწყო განმცხადებელზე ზეწოლის განხორციელება და ეუბნებოდა მას, რომ არ დაეწერა ამის შესახებ.

გ-სთან საუბრის დროს განმცხადებელმა დაიწყო პირველი განმარტების შედგენა. გ. აძლევდა მას ინსტრუქციებს თუ რა დაეწერა, კერძოდ ეუბნებოდა დაეწერა, რომ პოლიციის ოფიცრებს არ უცემიათ იგი და იგი გასინჯეს ბელორეცკში SI-2 დაწესებულებაში შესახლებისას. ხსენებულის გაგონებაზე, განმცხადებელმა გადაყარა ქაღალდები და გ-ს განუცხადა, რომ ის რის დაწერასაც გ. სთხოვდა განმცხადებელს სიცრუე იყო. გ-ს არ მოეწონა განმცხადებლის საქციელი და დაუწყო მას დაშინება შევიწროებით. მან განუცხადა განმცხადებელს, რომ მის ცხოვრებას ჯოჯოხეთად აქცევდა და ეს მალე განხორციელდებოდა. თუმცა, განმცხადებელმა განაცხადა, რომ იგი არ მოაწერდა ხელს განმარტებას იმ ადგილას, სადაც მას უთითებდა გ და თავად დაწერდა, რაც ასეც მოხდა. ბოლოს მან დაამატა, რომ არავინ მოუკელია და ესეც ჩაწერა. გ. კვლავ დაემუქრა განმცხადებელს შევიწროებით, რის შემდგომაც იგი შეეცადა მიეღო განმცხადებლისაგან საბოლოო განმარტება...

განმცხადებელმა განმარტა.. რომ სამუშაოდან გათავისუფლების შემდგომ იგი თავს მარტოსულად, შეურაცხყოფილად და სხვა პირებისაგან გარიყულად გრძნობდა. მაშინაც კი, როდესაც მოგვიანებით იგი კვლავ დაუშვეს სამუშაოზე, მას კვლავ აშინებდა სამუშაოს დაკარგვა.. ”

83. 2005 წლის 24 ივლისით დათარიღებულ და ნათესავებისადმი გაგზავნილ წერილში, რომლის ასლიც სასამართლოს წარუდგინეს განმცხადებლის წარმომადგენლებმა, განმცხადებელი სხვა საკითხებთან ერთად, აცხადებდა, რომ 2005 წლის 19 ივლისს იგი გამოძახეს კოლონიის სპეციალური დანიშნულების ნაწილში და გადასცეს, მისი ხელმოწერის სანაცვლოდ, ოფიციალური უარი პოლიციის იმ ოფიცრების წინააღმდეგ გამოძიების აღძვრასთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობდნენ მის მიმართ არასათანადო მოპყრობის განხორციელებაში. საუბრისას განმცხადებელს უთხრეს, რომ სწორედ იგი იყო ის პირი, რომლის წინააღმდეგაც უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის გამოძიება წარმოებული ყალბი ჩვენებების მიცემისათვის.

გ. განმცხადებლის არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული დამატებითი გამოძიება

84. 2005 წლის დაუდგენელ დღეს ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტმა, აღძრა შიდა გამოძიება განმცხადებლის არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული პრეტენზიების საფუძველზე. გამოძიების პერიოდში ოფიცრებმა ვ.გ.-მ., და რ.ხ.-მ, წარადგინეს წერილობითი მტკიცებულებები. თავიანთ განმარტებებში, რომლებიც 2005 წლის 4 ივლისით იყო დათარიღებული, ვ.გ.-მ და რ.ხ.-მ უარყვეს განმცხადებელთან მიმართებით არაკანონიერი მეთოდების გამოყენების ფაქტი.

85. ი.მ.-ს ჩვენება, რომელიც 2005 წლის 4 ივლისს იქნა ჩამოთმეული, შემდეგი შინაარსის იყო:

“არც მე და არც რომელიმე სხვა ოფიცერს არ გამოუყენებია განმცხადებელთან მიმართებაში არაკანონიერი მეთოდები.

მე მახსოვს, რომ განმცხადებლის სამედიცინო შემოწმება განხორციელდა ბელორეცკში და არა უჩაღში, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილიყო მისი ობიექტურად წარმართვა, სხვა შემთხვევაში განმცხადებლის დამცველები პრეტენზიას განაცხადებდნენ ‘ადგილობრივი ექსპერტის’ მიერ გაცემულ ‘მიკროპოხვულ’ დასკვნასთან დაკავშირებით”.

86. 2005 წლის 4 ივლისით დათარიღებულ განმარტებაში, ა.მ.-მ განაცხადა, რომ 2000 წელს იგი იყო უჩაღის პოლიციის განყოფილებაში უჩაღის დროებითი მოთავსების იზოლატორის ხელმძღვანელი. 2000 წლის სექტემბერში, გამომძიებელ ხ.ა.-ს ბრძანების საფუძველზე, ა.მ.-ს მძღოლმა ს.-მ და ‘შეორე პოლიციის ოფიცერმა’ წაიყვანეს განმცხადებელი ბელორეცკში SI-2 დაწესებულებაში და მიაცილეს იგი სამედიცინო შემოწმებისათვის. ბელორეცკის სასამართლო სამედიცინო ბიუროში, ა.მ.-ს, ს.-ს და მესამე პოლიციის ოფიცრის თანდასწრებით, ექსპერტმა გახადა განმცხადებელს ტანსაცმელი და გასინჯა იგი, რა დროსაც უსვამდა შესაბამის კითხვებს. ისინი ბიუროში დარჩნენ დაახლოებით 1 საათის განმავლობაში. ა.მ.-ს არ შეუნიშნავს განმცხადებელზე რაიმე სახის ხილვადი დაზიანება.

87. 2005 წლის 30 ივნისს ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ შეწყვიტა მოკვლევა, რადგანაც ვერ იქნა აღმოჩენილი რაიმე სახის მინიშნება, რომ განმცხადებლის კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას ჰქონდა ადგილი.

88. 2005 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით, უჩაღის რაიონულმა პროკურატურამ უარი განაცხადა განმცხადებლის მიმართ განხორციელებულ №1060 შემოწმებასთან დაკავშირებით ექსპერტ გ.-ს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე, რადგანაც მის ქმედებებში ვერ იქნა აღმოჩენილი დანაშაულის ნიშნები. გადაწყვეტილება შემდეგნაირად იკითხებოდა:

“გ.-მ პირადად განახორციელა [№1060] სამედიცინო შემოწმება. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ 2000 წლის 28 აგვისტოდან 30 სექტემბრამდე იგი შევებულიაში უნდა ყოფილიყო, მას მოუხდა უკან სამუშაოზე დაბრუნება, რადგანაც ექსპერტი ბ. 2000 წლის 13 დან 18 სექტემბრამდე არ იმყოფებოდა სამსახურში. სხენებული პერიოდის განმავლობაში განმცხადებლის შემოწმების გარდა, გ.-მ განახორციელა 14 სხვა პირის სამედიცინო შემოწმება და 16 გვამის ექსპერტიზა, რაც ასახულია სარეგისტრაციო ჩანაწერებში და გამომდინარეობს გ.-ს განმარტებიდან.

[განმცხადებლისა] და მისი ადვოკატის მტკიცება, რომ გ-მ განგებ გასცა ყალბი დასკვნა, რომლის თანახმადაც განმცხადებელს არ აღენიშნებოდა დაზიანებები, დაუსაბუთებელია”.

89. სრულად ნათელი არ არის თუ რამ გამოიწვია გამოძიების აღძვრა განმცხადებლის სამედიცინო შემოწმებასთან დაკავშირებით და ეცნობა თუ არა განცხადებელს სსენებული გამოძიების შედეგები.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

ა. არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული პრეტენზიების გამოძიება

90. რუსეთის კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს წამებას.

91. რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ამჟამადაც ძალაშია, ადგენს, რომ სისხლის სამართლის გამოძიება შესაძლებელია აღძვრას გამოძიებელმა ინდივიდის მიერ წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საგამოძიებო ორგანომ საკუთარი ინიციატივით (108-ე და 125-ე მუხლები). პროკურორი პასუხისმგებელია გამოძიებაზე ზედამხედველობის განხორციელებაზე (210-ე და 211-ე მუხლები). მას შეუძლია ბრძანოს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, ჩამოართვას საქმე ერთ გამოძიებელს და გადასცეს იგი მეორეს ან მოითხოვოს სამართალწარმოების განახლება. თუკი სახეზე არ იქნებოდა სისხლის სამართლებრივი გამოძიების აღძვრის საფუძველი, პროკურორი ან გამოძიებელი სსენებულთან დაკავშირებით გამოსცემს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, რაც უნდა ეცნობოს დაინტერესებულ მხარეს.

92. პროკურორი, გამოძიებელი ან მოსამართლე ვალდებული არიან განიხილონ საჩივრები და ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაცია და აღძვრან ან უარი განაცხადონ სისხლის სამართლებრივი გამოძიების აღძვრაზე. ან გადასცენ საქმე შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს (მუხლი 109). პროკურორის უარი გამოძიების აღძვრასთან დაკავშირებით, შესაძლებელია გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან; მოსამართლის უარი შესაძლებელია გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლოში (მუხლი 113§4).

93. 1998 წლის 29 აპრილს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის მე-4 პუნქტი იმ ნაწილში, რომელიც არ იძლეოდა პროკურორის ან გამოძიებლის მიერ გამოძიების აღძვრაზე უარის გასაჩივრების უფლებას სასამართლოში. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ქვეყნის პარლამენტს უნდა შეეცვალა საპროცესო კანონმდებლობის სსენებული მუხლი და შეეტანა მასში სასამართლო გადასინჯვის შესაძლებლობა. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სსენებული ცვლილების განხორციელებამდე, ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა, მათ შორის სასამართლოებმა, პირდაპირ უნდა გამოიყენონ კონსტიტუციის 46-ე მუხლი, რომელიც მოითხოვს ადმინისტრაციული აქტების, მათ შორის სამართალწარმოების აღძვრაზე უარის, სასამართლო წესით გადასინჯვას. სსენებული გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 1998 წლის მაისში.

94. 2000 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო რუსეთის საპროცესო კოდექსის რამოდენიმე დებულება, რომლებიც უფლებას აძლევდნენ ეროვნულ სასამართლოებს თავისი ინიციატივით აღძვრათ სისხლის სამართალწარმოება. იმავე გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ გაიმეორა, რომ ეროვნულ სასამართლოს უნდა შეეძლოს სასამართლო წესით გადასინჯოს საგამოძიებო ორგანოს მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან, მის აღძვრაზე უარის თქმასთან ან აღძრული საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება და საფუძვლიანობა კერძოდ კი ეს უნდა განხორციელდეს იმ პირის საჩივრის საფუძველზე, რომელიც თვლის, რომ კონსტიტუციით გარანტირებული მისი უფლებები დაირღვა ხსენებული გადაწყვეტილებით. საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 2000 წლის თებერვალში.

ბ. ხელმისაწვდომობა ადვოკატზე

95. მოქმედი კოდექსის 47§1 მუხლის თანახმად, ადვოკატის ჩართვა სამართალწარმოებაში დასაშვებია ბრალდების წარდგენის მომენტიდან, ან – დაკავებული ან ეჭმიტანილი პირის შემთხვევაში – იმ მომენტიდან როგორც კი შესაბამის პირს წარედგინება დაკავების ოქმი ან პატიმრობის ბრძანება. თუკი აყვანილი კერძო ადვოკატი არ გამოჩნდება 24 საათის განმავლობაში, ხელისუფლების შესაბამისი ორგანო, რომელსაც მიყავს საქმე, უფლებამოსილია შესთავაზოს პირს აიყვანოს სხვა ადვოკატი ან დაუნიშნოს ამ პირს ადვოკატი (მუხლი 47§2). 2001 წლის 25 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ მიანიშნა, რომ მუხლი 47§4 არ მოითხოვს რაიმე სახის სპეციალური ნებართვის მიღებას ადვოკატთან შეხვედრისათვის. იმავე გადაწყვეტილებაში, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა პატიმრობის შესახებ კანონის ერთ-ერთი დებულება, რომელიც მოითხოვდა ადვოკატისაგან, რათა მას სისხლის სამართლის საქმის წარმმართველი ხელისუფლების ორგანოებისაგან აეღო სპეციალური ნებართვა კლიენტის მოსანახულებლად.

გ. აღიარებითი ჩვენება

96. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 51-ე მუხლის თანახმად არავის შეიძლება დაეკისროს ვალდებულება ჩვენება მისცეს საკუთარი თავის, მეუღლის ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ.

97. რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლი მოითხოვდა, რომ აღიარებითი ჩვენება დაწერილი ყოფილიყო დეტალურად ცალკე დოკუმენტზე, მასზე ხელი მოეწერა აღიარების მიმცემ პირს და გამომძიებელს ან პროკურორს, რომლის წინაშეც მოხდა აღიარება.

დ. სისხლის სამართალწარმოების ხელახლა აღძვრა

98. რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 413-ე მუხლი ადგენს სისხლის სამართლის საქმის ხელახლა აღძვრასთან დაკავშირებულ პროცედურას. ხსენებული დებულების თანახმად:

“1. სასამართლო განაჩენები და გადაწყვეტილებები, რომლებიც ძალაში შევიდა, უნდა გაუქმდეს და სისხლის სამართალწარმოება ხელახლა უნდა აღიდრას ახალი ან ახლად აღმოჩენილი გარემოებების შემთხვევაში.

...

4. ახალი გარემოებები:

...

(2) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულების დარღვევა, რომელიც განხორციელდა რუსეთის ფედერაციის სასამართლომ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას და ხსენებული დარღვევა დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და ეხება:

- ა) ფედერალური კანონის გამოყენებას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის დებულებებთან;
- ბ) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის სხვა დარღვევებს;
- გ) სხვა გარემოებებს”

III. შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტები

99. ადვოკატზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საერთაშორისო დოკუმენტების ჩამონათვალის ხილვა შესაძლებელია საქმეში *Pishchalnikov v. Russia* (no. 7025/04, §§ 39-42, 2009 წლის 24 სექტემბერი) .

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის საგარაუდო დარღვევა

100. კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელი ჩიოდა, რომ 2000 წლის 8-9 სექტემბერს, პოლიციის ოფიცრები არასათანადოდ მოეპყრნენ მას და ხელისუფლების ორგანოებმა არ განხორციელეს ეფექტიანი გამოძიება მის მიმართ საგარაუდოდ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად:

“არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას”.

ა. მხარეთა არგუმენტაცია

1. მთავრობა

101. მთავრობა ამტკიცებდა, რომ მას არ გააჩნდა რაიმე სახის პრეტენზია განმცხადებლის მიერ ფაქტობრივი გარემოებების აღწერასთან დაკავშირებით, თუმცა გარკვეული გარემოებები მაინც საჭიროებდა განმარტებას. მთავრობის თანახმად, განმცხადებლის პრეტენზიები, რომ პოლიციის ოფიცრები მისგან აღიარების მოპოვების მიზნით მას არასათანადოდ მოეპყრნენ, დაუსაბუთებელი იყო. პირველ რიგში აღიარება განმცხადებელმა საკუთარი ხელით დაწერა და გადასცა იგი გამოძიებას პოლიციის მხრიდან რაიმე სახის ზეწოლის გარეშე. მეორე რიგში, 2000 წლის 18 სექტემბრით დათარიღებული საექსპერტო დასკვნის თანახმად ვერ იქნა აღმოჩენილი რაიმე სახის დაზიანება განმცხადებლის სხეულზე. გარდა ხსენებულისა, 2000 წლის 11 სექტემბერს განმცხადებლის SI-1/2 წინასწარი პატიმრობის იზოლატორში შესახლებისას, დაწესებულების ექიმმა აღნიშნა “მწვავე ქრონიკული ოტიტისი” მაგრამ არ აღუნიშნავს რაიმე სახის

დაზიანება. მთავრობა აცხადებდა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა დაკითხეს SI-1/2 დაწესებულების ხელმძღვანელი და სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, რომელმაც გასინჯა განმცხადებელი 2000 წლის 14 სექტემბერს. ექსპერტის თანახმად პატიმრობის განმავლობაში განმცხადებელმა მხოლოდ ერთხელ მიმართა წინასწარი პატიმრობის იზოლაციის სამედიცინო ცენტრს გრიპთან დაკავშირებით და გაეწია კიდევაც შესაბამისი მკურნალობა. ექსპერტმა დაადასტურა, რომ განმცხადებელს არ აღენიშნებოდა რაიმე სახის დაზიანება სხეულზე. მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ წინასწარი პატიმრობის SI-1/2 დაწესებულების ოფიცერ ა.მ-ს ჩვენების თანახმად (იხ. 86-ე პუნქტი), განმცხადებელს არ აღენიშნებოდა რაიმე სახის დაზიანება მისი იქ პატიმრობის განმავლობაში. უფრო მეტიც, განმცხადებელს და მის ადვოკატს არასოდეს მიუმართავთ საჩივრით პროკურორისათვის ან სასამართლოსათვის, მის პრეტენზიებთან დაკავშირებით სისხლის სამართალწარმოების არ აღძვრის გამო. ნებისმიერ შემთხვევაში, ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა გამოიძიეს განმცხადებლის პრეტენზიები, წარმართული მოკვლევისა და განმცხადებლის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში, და უარყვეს ხსენებული პრეტენზიები უსაფუძვლოდ გამო. მთავრობამ თხოვნით მიმართა სასამართლოს უკუუგდო განმცხადებლის პრეტენზიები დაუსაბუთებლობისა და სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების არ ამოწურვის გამო.

2. განმცხადებელი

102. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მან ამოწურა სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები. კერძოდ განმცხადებელმა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული პრეტენზიით, თავისი ადვოკატის მეშვეობით, მიმართა რაიონულ პროკურატურას და უზალინსკის რაიონულ სასამართლოს 2000 წლის 14 და 17 სექტემბერს. გარდა ხსენებულისა, ორი ინსტანციის სასამართლომ მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში განიხილეს არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული მისი პრეტენზიები. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ დაკითხა პოლიციის ოფიცრები, რომლებიც მონაწილეობდნენ ცემაში და გამოიკვლია სასამართლო სამედიცინო ექსპერტის №1060 დასკვნა. შეაფასა რა წარდგენილი მტკიცებულებები და განმცხადებლისა და მისი ადვოკატის მიერ წარდგენილი არგუმენტაცია, ეროვნულმა სასამართლომ უკუაგდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივარი მისი დაუსაბუთებლობის გამო. უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ “წინასწარი გამოძიების წარმმართველმა ორგანოებმა და საქმის განმხილველმა სასამართლომ, ყურადღებით განიხილეს ხსენებული არგუმენტები და სამართლიანად უკუაგდეს ისინი დაუსაბუთებლობის გამო”.

103. არსებით მხარესთან დაკავშირებით, განმცხადებელი ჩოდა, რომ არასათანადო მოპყრობა, რომელსაც იგი დაექვემდებარა 2000 წლის 8-9 სექტემბერს, მიზნად ისახავდა როგორც ფიზიკური ასევე სულიერი ტანჯვის მიყენებას, რაც არღვევდა მე-3 მუხლს. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მთავრობას სადაო არ გაუხდია მისი მასალების საფუძველზე სასამართლოს რეგისტრატურის მიერ მომზადებული ფაქტების მოკლე აღწერა. მთავრობა მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის პრეტენზიები დაუსაბუთებელი იყო და არ იყო გამყარებული სამედიცინო დასკვნით. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას არ გააჩნდა

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რაიმე სახის პრობლემა ბაშკორტოსტანში 1997 წელს ჩამოსვლის მომენტიდან ან 2000 წლის სექტემბერში განხორციელებულ დაკითხვებამდე, რაც დასტურდებოდა ადგილობრივი საავადმყოფოს მიერ გაცემული დასკვნით. განხორციელებული ცემის შედეგად, მას განუვითარდა ტკივილები თირკმელებისა და ლავიწის ძვლის მიდამოებში და დაერუვდა მარცხენა ყურით. რადგანაც პოლიციის დაწესებულებაში იგი წაიყვანეს ჯანმრთელი, სახელმწიფოს ეკისრებოდა ვალდებულება ჯეროვანი ახსნა განმარტება წარმოედგინა დაზიანებების წარმომავლობასთან დაკავშირებით. ხსენებულის განუხორციელებლობა კი გამოიწვევდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ მისი წამების შემდგომ შემდგენილი სამედიცინო დოკუმენტები, როგორიც იყო მაგალითად 2000 წლის 14-18 სექტემბრის საექსპერტო დასკვნა, არ ასახავდა სიმართლეს ხსენებულ პერიოდში მის ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ხოლო შემდგომი სამედიცინო გამოკვლევა კი არ უთითებდა ოტიტისის განვითარების მიზეზებზე. განმცხადებელი უთითებდა ი.რ-ს და ვ.ზ-ს მიერ მიცემულ ჩვენებებსა და მისი ადვოკატის 2000 წლის 14 სექტემბრით დათარიღებულ წერილზე, რომლებიც ამყარებდნენ გარემოებების აღწერის მისეულ ვერსიას, რასთან დაკავშირებითაც მთავრობას არ წარუდგენია კომენტარები. სასამართლოს მიერ საქმეზე *Afanasyev v. Ukraine* (no. 38722/02, §§ 62-63, 2005 წლის 5 აპრილი) გამოტანილ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სამედიცინო მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ ცემის შემდგომ შედეგებს, როგორიც არის სიყრუე მარცხენა ყურში და ოტიტისი; მისი თანამესაკნეებისა და ადვოკატის მოწმეთა სახით მიცემული ჩვენებები, მის მიერ გარემოებების დეტალური და თანმიმდევრული აღწერა (ის ფაქტი, რომ იგი წუთობრივად და დეტალურად აღწერდა მის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას, ოთახების განლაგებას, კარებებს, ავეჯს, პოლიციის ოფიცრების სახელებსა და წოდებებს); ისევე როგორც ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მისი დაზიანებების ახსნის შესაძლებლობის არქონა, ერთიანობაში აღებული ადასტურებდნენ, რომ მის მიმართ პოლიციამ განახორციელა არასათანადო მოპყრობა 2000 წლის 8-9 სექტემბრის. ბოლოს განმცხადებელმა აღნიშნა, რომ იგი მუდმივად უარყოფდა მკვლელობაში მის მონაწილეობას (3 აგვისტოს და 2 სექტემბრის დაკითხვებისას, მის ადვოკატთან 6 და 7 სექტემბერს შეხვედრებისას) და ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ მას უცებ მიეღო გადაწყვეტილება 9 სექტემბერს მიეცა აღიარებით ჩვენება, როდესაც მისი ადვოკატი არ იმყოფებოდა იქ.

104. რაც შეეხება მე-3 მუხლის პროცედურულ მოთხოვნებს, განმცხადებელი ჩიოდა, რომ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით წარმართული გამოძიება აშკარად არაადეკვატური და არაეფექტიანი იყო. არ ყოფილა განხორციელებულა მისი და პოლიციის ოფიცრების დაპირისპირება. ფაქტიურად იგი არ დაუკითხავთ პირადად სავარაუდო არსათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. კონკრეტული კითხვები არ დაუსვიათ ოფიცრებისათვის. რაც შეეხება 2000 წლის 18 სექტემბრის სამედიცინო დასკვნას, განმცხადებელი არ ეთანხმებოდა მას ერთადერთ შესაძლო ახსნად მიაჩნდა ექიმის მიკერძოებულობა ან პოლიციის ოფიცრების მიერ განხორციელებული ზეწოლა, რომ ექიმს არ დაეფიქსირებინა რეალურად არსებული დაზიანებები. პროკურორს არ გადაუდგამს რაიმე ნაბიჯი ჭეშმარიტების დასადგენად: მაგალითად მას არ დაუკითხავს შესაძლო მოწმეები შესაბამის პერიოდში განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში

გამოძიება არ იყო მიუკერძოებელი, რადგანაც ხ.ა, რომელიც პასუხისმგებელი იყო მკვლელობასთან დაკავშირებული გამოძიების წარმართვაზე, და რომელმაც იცოდა ცემის ფაქტის შესახებ, ასევე ხელმძღვანელობდა გამოძიებას პროკურატურის მხრიდან მის სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

ბ. სასამართლოს შეფასება

1. მთავრობის პირველადი პრეტენზია

105. სასამართლო აცხადებს, რომ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა განაცხადის არსებით განხილვაზე მიღების საკითხს, მან გადაწყვიტა გაეერთიანებინა განმცხადებლის მიერ სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების არ ამოწურვასთან დაკავშირებული მთავრობის პირველადი პრეტენზია საქმის არსებით მხარესთან. კერძოდ მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა ამოწურული სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რადგან მას არ გაუსაჩივრებია ზემდგომ პროკურორთან ან სასამართლოში პროკურორის მიერ პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარი.

106. რაც შეეხება მთავრობის პრეტენზიის პირველ ასპექტს, სასამართლომ უკვე დაადგინა ადრე, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის გასაჩივრება ზემდგომ პროკურორთან, არ წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებას კონვენციის 35-ე მუხლის მნიშვნელობით (იხ. *Belevitskiy v. Russia*, no. 72967/01, § 60, 2007 წლის 1 მარტი). სასამართლო ვერ პოულობს რაიმე მიზეზს, რომ წინამდებარე საქმეში განსხვავებული მიდგომა განახორციელოს.

107. რაც შეეხება პრეტენზიის მეორე ასპექტს, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელმა საჩივარი წარადგინა საქმის განმხილველ და სააპელაციო სასამართლოებში და დეტალურად აღწერა არამხოლოდ პოლიციის ოფიცრების მიერ განხორციელებული სავარაუდო ძალადობა, არამედ ასევე გამოძიების მრავალი სავარაუდო ხარვეზი (იხ. 58, 64 და 68-ე პუნქტები). ორი ინსტანციის სასამართლოს ფორმალური მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო უარი არ უთქვამს განმცხადებლისათვის რათა განეხილათ მისი პრეტენზიები. მათ არსებითად განიხილეს საჩივრები და დაკითხეს განმცხადებელი და პოლიციის ოფიცრები, გამოიკვლიეს საგამოძიებო მასალები და ძალაში დატოვეს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (*Vladimir Fedorov v. Russia*, no. 19223/04, § 47, 2009 წლის 30 ივლისი). მთავრობა არ ამტკიცებდა იმას, რომ სასამართლო გადასინჯვის საშუალებების გამოყენებით, განმცხადებელმა სასამართლოებს არ მისცა შესაძლებლობა განეხილათ შესაბამისი საკითხები (შეადარეთ *Akulinin and Babich v. Russia*, no. 5742/02, § 32, 2008 წლის 2 ოქტომბერი). ხსენებულ გარემოებებში, როდესაც ეროვნულმა სასამართლოებმა უკვე იმსჯელეს განმცხადებლის პრეტენზიებთან დაკავშირებით, სასამართლოს არ მიაჩნია არაგონივრულად, რომ განმცხადებელმა აღარ წარადგინა იგივე საჩივრები იგივე სასამართლოებში (იხ. ზემოხსენებული საქმე *Vladimir Fedorov*, § 49). ხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ ვერ იქნა დადგენილი საკმარისი სიცხადით, რომ მთავრობის მიერ დასახელებული სამართლებრივი დაცვის საშუალება შესაძლოა ყოფილიყო ეფექტიანი წინამდებარე საქმის კონკრეტულ გარემოებებში (იხ. ზემოხსენებული საქმეები *Vladimir Fedorov* და *Akulinin and Babich*, §§ 49 და 32, შესაბამისად).

108. ხსენებულიდან გამომდინარე სასამართლო უკუაგდებს მთავრობის პირველად პრეტენზიებს სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების არ ამოწურვასთან დაკავშირებით.

2. მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის სავარაუდო დარღვევა

ა. ზოგადი პრინციპები

109. სასამართლო იმეორებს, რომ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით მყარად დადგენილი პრეცედენტული სამართლის თანახმად, როდესაც პირი წარადგენს საფუძვლიან პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიმართ განხორციელდა სერიოზული ხასიათის არასათანადო მოპყრობა რომელიც არღვევს მე-3 მუხლს, მაშინ ხსენებული დებულება, რომ ავიღოთ სახელმწიფოს ზოგად ვალდებულებასთან ერთად, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის 1-ლი მუხლით და რომლის თანახმადაც სახელმწიფოები “ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს”, გულისხმობს ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების განხორციელებას. გამოძიების ვალდებულება “არ არის შედეგზე ორიენტირებული ვალდებულება, არამედ ეხება გამოყენებულ საშუალებებს”. არ არის აუცილებელი, რომ ყოველი გამოძიება წარმატებული იყოს ან საბოლოო გადაწყვეტილებით დაეთანხმოს მომჩივნის ვერსიას; თუმცა, მას უნდა შეეძლოს რომ დაადგინოს საქმის რეალური ფაქტები და თუკი აღმოჩნდება, რომ პრეტენზიები შეესაბამება სინამდვილეს, გამოძიებამ შესაძლებელი უნდა გახადოს პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიცირება და დასჯა.

110. არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საფუძვლიანი საჩივრების გამოძიება ჯეროვნად უნდა წარიმართოს. ხსენებული ნიშნავს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ყოველთვის სერიოზული მცდელობები უნდა განახორციელონ იმის დასადგენად თუ რა მოხდა რეალობაში და არ უნდა დაეყრდნონ ნაჩქარევად მიღებულ ან დაუსაბუთებელ დასკვნებს, რათა შეწყვიტონ გამოძიება ან მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება. მათ უნდა განახორციელონ ხელთარსებული ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა მოიპოვონ ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებები, მათ შორის, *inter alia*, სავარაუდო მსხვერპლისაგან მიიღონ სავარაუდო მოპყრობასთან დაკავშირებული დეტალური ჩვენება, დაკითხონ თვითმხილველები, გამოიკვლიონ სასამართლო სამედიცინო ექსპერტის დასკვნა და სადაც საჭიროა ჩაატარონ დამატებითი სამედიცინო გამოკვლევა, რომლის შედეგადაც შესაძლებელი იქნება დაზიანებების სრულყოფილი და ზუსტი აღწერა და სამედიცინო დასკვნების ობიექტური ანალიზის განხორციელება, განსაკუთრებით კი დაზიანებების წარმომავლობასთან დაკავშირებით. გამოძიების ნებისმიერმა ხარვეზმა, რომელიც ხელყოფს იმის შესაძლებლობას რომ დადგინდეს დაზიანების მიზეზი ან პასუხისმგებელი პირების ვინაობა, წინააღმდეგობაში მოვა შესაბამის სტანდარტებთან. სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული გამოძიება უნდა წარიმართოს სწრაფად. და ბოლოს, გამოძიებას თან უნდა ახლდეს საკმარისი საზოგადოებრივი კონტროლის ელემენტი, რომელიც განხორციელდება როგორც გამოძიებასთან ასევე მის შედეგებთან მიმართებით. კერძოდ ხსენებული გულისხმობს, რომ ყველა საქმეში მომჩივანს უნდა მიეცეს ეფექტიანი ხელმისაწვდომობა საგამოძიებო პროცედურაზე (სხვა მაგალითებს

შორის იხ., *Assenov and Others v. Bulgaria*, 1998 წლის 28 ოქტომბერი, §§ 102 et seq., *Reports of Judgments and Decisions* 1998-VIII; *Mikheyev v. Russia*, no. 77617/01, §§ 107-108, 2006 წლის 26 იანვარი; და *Petropoulou-Tsakiris v. Greece*, no. 44803/04, § 50, 2007 წლის 6 დეკემბერი)

ბ. ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

111. წინამდებარე საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ განმცხადებლის მიერ გამოძიებულ ხ.ა-სთვის 2000 წლის 13 სექტემბერს გაკეთებული განცხადება და მისი ადვოკატის მიერ რაიონულ პროკურატურაში წარდგენილი საჩივარი, რომელიც მოიცავდა ადვოკატის მიერ განმცხადებლის სხეულზე არსებული დაზიანებების დეტალურ აღწერას (იხ. 38-ე და 39-ე პუნქტები), წარმოადგენდა პოლიციის მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის “დასაბუთებულ საჩივარს” და კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, მოითხოვდა გამოძიებას ხელისუფლების ეროვნული ორგანოების მხრიდან.

112. როგორც ჩანს განმცხადებლის მიერ საჩივრების წარდგენის მომენტიდან მალევე, რაიონულმა პროკურატურამ დაიწყო მოკვლევა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. შესაბამისად სასამართლო დაკმაყოფილებულია იმ ფაქტით, რომ ხელისუფლების ორგანოებმა მალევე დაიწყეს გამოძიება. მოკვლევა რამოდენიმე დღეში დასრულდა და მის შედეგად სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ. ამის შემდგომ მალევე საქმის განმხილველმა და სააპელაციო სასამართლოებმა ასევე განიხილეს განმცხადებლის პრეტენზიები არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით და უარყვეს ისინი. ხსენებულიდან გამომდინარე სასამართლოს წინაშე საკითხი იმდენად იმ კუთხით კი არ დგას, წარიმართა თუ არა საერთოდ გამოძიება, არამედ ეფექტიანი იყო თუ არა ეს გამოძიება (იხ. *Krastanov v. Bulgaria*, no. 50222/99, § 59, 2004 წლის 30 სექტემბერი).

113. როგორც ეს ნათლად ჩანს პროკურორის უარიდან აღედრა სისხლის სამართლის საქმე პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ, ხსენებული ეყრდნობოდა წერილობით განმარტებებსა და სასამართლო სამედიცინო ექსპერტის №1060 დასკვნას.

114. რაც შეეხება სასამართლო სამედიცინო დასკვნას, როგორც ჩანს მასში მოხსენებული ფაქტი, რომ შემოწმებას ესწრებოდა მხოლოდ ერთი პოლიციის ოფიცერი (იხ. 27-ე პუნქტი) როგორც ჩანს წინააღმდეგობაში მოდის ა.მ-ს ჩვენებასთან, რომლის თანახმადაც განმცხადებელი ექსპერტმა გასინჯა 3 პოლიციის ოფიცრის თანდასწრებით (იხ. 86-ე პუნქტი) – შეუსაბამობა, რომელთან დაკავშირებული განმარტებაც არ წარმოუდგენია მთავრობას. ხსენებულთან დაკავშირებით სასამართლო ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მან უკვე მრავალჯერ აღნიშნა, რომ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთა სამედიცინო გამოკვლევა უნდა განხორციელდეს პოლიციის ოფიცრებისა და მთავრობის წარმომადგენელთა დაუსწრებლად რათა დაკმაყოფილდეს დამოუკიდებლობისა და გამოძიების ჯეროვნად წარმართვის შესაბამისი სტანდარტები (იხ. *Akkoç v. Turkey*, nos. 22947/93 და 22948/93, § 118, ECHR 2000-X; *Karademir v. Turkey*, no. 32990/96, § 53, 2001 წლის 30 ოქტომბერი).

115. ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლოს სერიოზული ეჭვები გააჩნია №1060 სასამართლო სამედიცინო დასკვნასთან დაკავშირებით და იმასთან დაკავშირებით თუ რა გზით განხორციელდა ხსენებული დასკვნის შედგენა. განსაკუთრებულ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტმა მოიხსენია დასკვნაში, რომ განმცხადებელი “უჩივის მარცხენა ყურში ტკივილებს”, მან აუცილებლად არ ჩათვალა კითხვები დაესვა განმცხადებლისათვის სიმპტომებისა და ტკივილების წარმოშობის მიზეზებთან დაკავშირებით. ექსპერტს ასევე არ გაუხინჯავს მისი ყური და არ დაუფიქსირებია განმცხადებლის განმარტება თუ რატომ აქვს ტკივილები ისევე როგორც არ დაუფიქსირებია თავისი დასკვნები (*Akkoç*, *ibid.*; ზემოხსენებული *Pishchalnikov*-ის საქმე § 59; შეადარეთ საქმეს *Elci and Others v. Turkey*, nos. 23145/93 and 25091/94, § 642, 2003 წლის 13 ნოემბერი).

116. რაც შეეხებათ პოლიციის ოფიცრების ჩვენებებს, სასამართლოს არ შეუძლია განსაკუთრებული ყურადღება არ დაუთმოს იმ ფაქტს, რომ გამოძიებაზე პასუხისმგებელმა პროკურორმა არ ჩათვალა აუცილებლად პირადად დაეკითხა პოლიციელები, რომ არაფერი ვთქვათ იმ ფაქტზე, რომ მან არ დააპირისპირა პოლიციელები განმცხადებელთან, და ჯამში შემოიფარგლა მათგან მხოლოდ წერილობითი განმარტებების მიღებით.

117. სასამართლო კიდევ უფრო განცვიფრებულია იმ ფაქტით, რომ პროკურორს არ დაუკითხავს განმცხადებელი მის მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ. მას არ განუხორციელებია რაიმე სახის მცდელობა, რათა დაეკითხა განმცხადებლის ადვოკატი ან წინასწარი პატიმრობის იმ იზოლატორის სამედიცინო პერსონალი, სადაც განმცხადებელი შეასახლეს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემდეგ. მას არ განუხორციელებია მცდელობა, რათა მოეხდინა პოლიციის განყოფილებაში არსებულ იზოლატორში განმცხადებლის თანამესაკნეების იდენტიფიცირება და მათი დაკითხვა. განმცხადებლის თანამესაკნეების სახელები და გვარები უცნობიც რომ ყოფილიყო პროკურორისათვის, მას უნდა განეხორციელებინა გარკვეული ქმედებები მათი იდენტიფიცირებისათვის (სხვა მაგალითებს შორის იხ. ზემოხსენებული საქმე *Akulinin and Babich*, § 53, და ზემოხსენებული *Vladimir Fedorov*-ის საქმე § 73).

118. სასამართლოს აზრით, ზემოხსენებულმა ხარვეზებმა კრიტიკულ დონეზე ხელყვეს გამოძიების ეფექტიანობა და იმის შესაძლებლობა, რომ დადგენილიყო შესაბამისი ფაქტები.

119. სასამართლო ასევე აცხადებს, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ დაკითხა განმცხადებელი და პოლიციის რამოდენიმე ოფიცერი სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით და განიხილა პროკურორის მიერ მოკვლეული მასალები ამან ვერ გამოსწორა ზემოხსენებული ხარვეზები. უფრო მეტიც არ არსებობდა რაიმე სახის მნიშვნელოვანი სხვაობა პოლიციის ოფიცრების მიერ პროკურორისა და საქმის განმხილველ სასამართლოზე წარდგენილ ჩვენებებს შორის. კერძოდ, მაშინ როდესაც ი.მ-მ განუცხადა პროკურორს, რომ მან დაკითხა განმცხადებელი 2000 წლის 9 სექტემბერს, მან საქმის განმხილველ სასამართლოს განუცხადა, რომ შვებულებაში იყო ხსენებულ დღეს (იხ. 43-ე და 62-ე პუნქტები). გარდა ხსენებულისა, მაშინ როდესაც ვ.გ-მ უარყო მისი დასწრება განმცხადებლის დაკითხვისას, მან ამავე დროს დაადასტურა, რომ დაკითხა განმცხადებელი (იხ.

62-ე პუნქტი). თუმცა საქმის განმხილველმა სასამართლომ ჯეროვანი რეაგირება არ მოახდინა ხსენებულ ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტებზე. ანალოგიურად, ეროვნულმა სასამართლომ უფურადღებოდ დატოვა ექსპერტის №1060 დასკვნის სანდოობის საკითხი, რომლის სანდოობაც განმცხადებელმა ეჭვქვეშ დააყენა. ეროვნულმა სასამართლომ რეაგირება ასევე არ მოახდინა განმცხადებლის და მისი ადვოკატის მოთხოვნაზე, რომ სასამართლოს გამოეძახებინა სასამართლო სამედიცინო ექსპერტი და დაეკითხა იგი. სააპელაციო სასამართლომ, თავის მხრივ, ძალაში დატოვა პროკურორისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები და დაადგინა, რომ ხელისუფლების ხსენებულმა ორგანოებმა ჯეროვნად გადაამოწმეს განმცხადებლის პრეტენზიები.

120. ხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული მხარის დარღვევას.

3. მე-3 მუხლის არსებითი მხარის საგარაუდო დარღვევა

ა) ზოგადი პრინციპები

121. როგორც ეს სასამართლომ მრავალჯერ განაცხადა, კონვენციის მე-3 მუხლი იცავს დემოკრატიული საზოგადოების ერთ ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას. ყველაზე რთულ სიტუაციებშიც კი, როგორიც შეიძლება იყოს ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, კონვენცია აბსოლუტური ტერმინებით კრძალავს წამებას და არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. კონვენციისა და დამატებითი ოქმების უმეტესი არსებითი დებულებებისაგან განსხვავებით, მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს რაიმე სახის გამონაკლისს და არ უშვებს რაიმე სახის გადახვევას მე-15 მუხლის მე-2 პუნქტიდან თუნდაც საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს (იხ. *Selmouni v. France* [GC], no. 25803/94, § 95, ECHR 1999-V, და ზემოხსენებული საქმე *Assenov and Others*, § 93).

122. არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული პრეტენზიები გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით (იხ. *mutatis mutandis*, *Klaas v. Germany*, 1993 წლის 22 სექტემბერი, §30, Series A no. 269). ხსენებულ მტკიცებულებათა შესაფასებლად, სასამართლომ შეიმუშავა “გონივრულ ეჭვს მიღმა” სტანდარტი, მაგრამ სასამართლო ამატებს, რომ ასეთი დადასტურება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, ნათელი და შესაბამისი მინიშნებებიდან ან ფაქტის ანალოგიური გაუქარწყლებელი პრეზუმპციიდან (*Ireland v. the United Kingdom*, 1978 წლის 18 იანვარი, § 161, Series A no. 25).

ბ) ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

123. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელმა წარმოადგინა საგარაუდო არასათანადო მოპყრობის დეტალური აღწერა. განმცხადებლის თანამესაკნეებისა და მისი ადვოკატის ჩვენებების თანახმად, მათ შენიშნეს განმცხადებლის სხეულზე რამოდენიმე დაზიანება მისი საგარაუდო ცემიდან რამოდენიმე დღეში. ასევე აღსანიშნავია, რომ პოლიციის ოფიცრებმა, რომლებიც საგარაუდოდ მონაწილეობდნენ არასათანადო მოპყრობაში, უარყვეს განმცხადებლის ცემა, ხოლო განმცხადებლის სასამართლო სამედიცინო შემოწმებამ ვერ დაადგინა რაიმე სახის დაზიანება განმცხადებლის სხეულზე. არც განმცხადებლის

სამედიცინო ისტორია შეიცავს რაიმე სახის მითითებას სხეულზე არსებულ დაზიანებებთან დაკავშირებით.

124. სასამართლო ასევე ითვალისწინებს განმცხადებლის საგარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით განხორციელებული გამოძიებასისას დაშვებულ ხარვეზებს, რაც სასამართლომ უკვე დაადგინა, კერძოდ კი ხარვეზებს, რომლებიც ეხება სამედიცინო შემოწმებას (პუნქტები 114-119).

125. მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის, ისევე როგორც ყველა ხელთარსებული მასალის გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ მის წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებები არ აძლევს მას იმის შესაძლებლობას, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა დაადგინოს, რომ განმცხადებელი დაექვემდებარა მე-3 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგო მოპყრობას, რის დადგენასაც ითხოვდა განმცხადებელი. ხსენებულთან დაკავშირებით, სასამართლო განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმის შესაძლებლობის არქონა, რომ დაედგინა მართლაც ჰქონდა ადგილი კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას თუ არა, მნიშვნელოვნად განაპირობა ხელისუფლების ეროვნული ორგანოების მიერ ჯეროვანი და ეფექტიანი რეაქციის განუხორციელებლობამ შესაბამის დროს განმცხადებლის მიერ წარდგენილ პრეტენზიებთან დაკავშირებით (შეადარეთ *Gharibashvili v. Georgia*, no. 11830/03, § 57, 2008 წლის 29 ივლისი, შემდგომი მინიშნებებით და ასევე იხ. *Hashiyev and Akayeva v. Russia*, nos. 57942/00 და 57945/00, § 178, 2005 წლის 24 თებერვალი, შემდგომი მინიშნებებით).

126. შესაბამისად სასამართლოს არ შეუძლია დაადგინოს კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი მხარის დარღვევა განმცხადებლის პოლიციაში პატიმრობის დროს განხორციელებულ საგარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

II. კონვენციის მე-6 მუხლის საგარაუდო დარღვევა

127. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ, მე-2 და მე-3 პუნქტებზე დაყრდნობით, განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას მსჯავრი დასდეს მის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენების საფუძველზე, რომელიც მან მისცა ზეწოლის ქვეშ და ადვოკატის დაუსწრებლად, ხოლო ეროვნულმა სასამართლოებმა კი არ შეისწავლეს ჯეროვნად ყველა შესაბამისი ფაქტი. სასამართლო წინამდებარე პრეტენზიას განიხილავს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 (გ) ქვეპუნქტის ჭრილში, რომელთა თანახმადაც:

1. „წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ნებისმიერი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს .. მისი საქმის განხილვის უფლება სამართლიანი .. სასამართლოს მიერ. ...
2. ...
3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

..

გ) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანახადაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

ა. მხარეთა არგუმენტაცია

128. მთავრობა აცხადებდა, რომ აღიარებითი ჩვენება განმცხადებელმა შეადგინა საკუთარი ხელით 2000 წლის 9 სექტემბერს. რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის დებულებების შესაბამისად, ეს არ იყო პროცესუალური დოკუმენტი, რომელიც შეიძლება და უნდა შედგენილიყო ადვოკატის თანდასწრებით. დაკითხვის ოფიციალური ოქმისაგან განსხვავებით, აღიარებითი ჩვენების მიცემა დამოკიდებული იყო ბრალდებულის კეთილ ნებაზე. აღიარებითი ჩვენება დაწერილი იყო განმცხადებლის ხელით და ასევე თან ერთვოდა მისი ხელმოწერა, რომლითაც იგი ადასტურებდა, რომ მისთვის ცნობილი იყო უფლება არ მიეცა ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, რაც უზრუნველყოფილია რუსეთის კონსტიტუციის 510ე მუხლით. მე-3 მუხლთან დაკავშირებით წარმოდგენილ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, მთავრობა აცხადებდა, რომ აღიარებითი ჩვენება არ ყოფილა მიცემული პოლიციის ოფიცრების მიერ განხორციელებული საგარაუდო არასათანადო მოპყრობის შედეგად.

129. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ იმ მტკიცებულების დაშვება, რომელიც მოპოვებულ იქნა არასათანადო მოპყრობის შედეგად, არღვევდა მის სამართლიანი სასამართლო მოსმენის უფლებას. იგი აცხადებდა, რომ საქმის გამოძიების განმავლობაში, ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება მიცემული უნდა ყოფილიყო მისი ადვოკატის თანდასწრებით ან მისი არყოფნის შემთხვევაში, საკმარისი პროცედურები უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში, რათა გადამოწმებულიყო, რომ აღიარება არ იყო მოპოვებული ზეწოლის შედეგად. განმცხადებელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მთავრობამ აღიარა, რომ მის მიერ აღიარებითი ჩვენების მიცემა განხორციელდა მისი ადვოკატის დაუსწრებლად. იგი სასამართლოს ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ მის ადვოკატს უარი უთხრეს მის მონახულებაზე 2000 წლის 8 სექტემბერს, ანუ იმ დღეს როდესაც მის მიმართ განხორციელდა არასათანადო მოპყრობა. ამავე დროს მთავრობას არ მიუთითებია რომელიმე საკანონმდებლო დებულებაზე, რომელიც კრძალავს ადვოკატის დასწრებას აღიარებითი ჩვენების მიცემისას. მთავრობას არც რაიმე შესაბამისი მიზეზი წარმოუდგენია იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ განუცხადეს მას უარი ადვოკატის დახმარებაზე. განმცხადებელი ასევე აცხადებდა, რომ მისთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა რაიმე სახის პროცედურა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა სასამართლო სამართალწარმოებისას გადამოწმებულიყო ის ფაქტი, რომ მისი აღიარებითი ჩვენება არ იყო მოპოვებული ზეწოლის შედეგად. საქმის განმხილველმა და სააპელაციო სასამართლოებმა თავიანთი გადაწყვეტილებები დააფუძვნეს 2000 წლის 14-18 სექტემბრის სამედიცინო დასკვნასა და 2000 წლის 24 სექტემბრით დათარიღებულ პროკურორის გადაწყვეტილებას, თუმცა ეროვნულ სასამართლოებს არ ჰქონიათ სხვა არანაირი მტკიცებულება, გარდა მისი აღიარებითი ჩვენებისა, რომ მან ჩაიდინა დანაშაული.

ბ. სასამართლოს შეფასება

1. ზოგადი პრინციპები

130. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, როგორც წესი, მოითხოვს, რომ უზრუნველყოფილი იყო ადვოკატზე ხელმისაწვდომობა პოლიციაში წარმოებული პირველი დაკითხვის მომენტიდანვე. თუმცა შეიძლება არსებობდეს გამონაკლისი შემთხვევები, რა დროსაც თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე უნდა დადასტურდეს ჯეროვანი მიზეზების არსებობა ადვოკატზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან დაკავშირებით (იხ. *Salduz v. Turkey* [GC], no. 36391/02, § 55, 2008 წლის 27 ნოემბერი; იხ. ასევე *Dayanan v. Turkey*, no. 7377/03, §§ 29-34, 2009 წლის 13 ოქტომბერი). მაშინაც კი როდესაც ასეთ ჯეროვან მიზეზებს შეუძლიათ გამონაკლის შემთხვევებში გაამართლოს ადვოკატზე ხელმისაწვდომობა, ასეთი შეზღუდვა – რაც არ უნდა ამართლებდეს მას – არაჯეროვნად არ უნდა ზღუდავდეს ბრალდებულის მე-6 მუხლით გარანტირებულ უფლებებს. (*ibid.*). დაცვის მხარის უფლებები აშკარად დაირღვევა, როდესაც დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი ჩვენებები მოპოვებულ იქნება პოლიციის მიერ წარმოებული დაკითხვისას, რომელსაც არ ესწრება ადვოკატი და მოხდება მათი გამოყენება მსჯავრდებისათვის.

131. სასამართლო ასევე ხაზს უსვამს გამოძიების ეტაპის მნიშვნელობას სისხლის სამართალწარმოების მომზადებისათვის, რადგანაც ამ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებები განსაზღვრავენ ბრალდების ჩარჩოებს, რომელიც უნდა განიხილოს საქმის განმხილველმა სასამართლომ (ზემოსხენებული *Salduz*-ის საქმე § 54). ამავე დროს ბრალდებული ხშირად აღმოჩნდება ხოლმე უსუსურ მდგომარეობაში სამართალწარმოების ხსენებულ ეტაპზე და ხსენებულის ეფექტს კიდევ უფრო ზრდის ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა უფრო და უფრო რთულდება, განსაკუთრებით კი იმ დებულებების თვალსაზრისით, რომლებიც ეხება მტკიცებულებების შეგროვებას. უმეტეს შემთხვევებში ხსენებული განსაკუთრებული უსუსურობა შეიძლება ჯეროვნად იქნეს კომპენსირებული ადვოკატის დახმარებით, რომლის ამოცანაც, სხვა საკითხებთან ერთად, არის იმის უზრუნველყოფა, რომ დაცული იყოს ბრალდებულის უფლება ჩვენება არ მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ (*Jalloh v. Germany* [GC], no. 54810/00, § 100, ECHR 2006-IX, და *Kolu v. Turkey*, no. 35811/97, § 51, 2005 წლის 2 აგვისტო).

132. სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ კონვენციის მე-19 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს ვალდებულებაა უზრუნველყოს ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა. კერძოდ სასამართლოს ფუნქციას არ წარმოადგენს იმ ფაქტობრივი თუ საკანონმდებლო შეცდომების განხილვა, რომლებიც სავარაუდოდ დაუშვეს ეროვნულმა სასამართლოებმა, გარდა ისეთი შემთხვევებისა და მხოლოდ იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ისინი ეხება კონვენციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს. მაშინ როდესაც მე-6 მუხლი უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლო მოსმენის უფლებას იგი არ აყალიბებს რაიმე წესებს მტკიცებულებების დაშვებასთან დაკავშირებით, და ხსენებული ძირითადად რეგულირდება ეროვნული სამართლით (*Schenk v. Switzerland*, 1988 წლის 12 ივლისი, §§ 45-46, Series A no. 140).

133. ამიტომაც, პრინციპში, სასამართლოს ფუნქცია არ არის განსაზღვროს გარკვეული ტიპის მტკიცებულებები – მაგალითად, ეროვნული კანონმდებლობის

დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები – უნდა იქნეს დაშვებული თუ არა, ან სინამდვილეში, განმცხადებელი იყო დამნაშავე თუ არა. კითხვა რომელზეც პასუხი უნდა გაეცეს შემდეგნაირად უნდა იქნეს ფორმულირებული: მთლიანობაში აღებული, სამართლაწარმოება, მათ შორის თუ რა გზით იქნა მტკიცებულებები მოპოვებული, სამართლიანი იყო თუ არა.

134. ამგვარად, სასამართლომ ადრე უკვე დაადგინა, რომ იმის განსაზღვრისას სამართალწარმოება მთლიანობაში იყო თუ არა სამართლიანი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაცული იყო თუ არა დაცვის მხარის უფლებები, კერძოდ კი მიეცა თუ არა განმცხადებელს შესაძლებლობა, რომ გაესაჩივრებინა მტკიცებულებების ავთენტურობა და ედავა მათ გამოყენებასთან დაკავშირებით (იხ. *Panovits v. Cyprus*, no. 4268/04, § 82, 2008 წლის 11 დეკემბერი). დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მტკიცებულების ხარისხი, მათ შორის ის ფაქტი წარმოშობს თუ არა ეჭვს მის სარწმუნოებასთან ან ჯეროვნებასთან დაკავშირებით ის გარემოებები, რომლებშიც იგი იქნა მოპოვებული (ibid.). სინამდვილეში, როდესაც სადაო ხდება მტკიცებულების სარწმუნოება, იმისათვის, რათა პროცესი სამართლიანი იყოს, გაცილებით დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მტკიცებულებების დაშვებადობის განხილვას (*Allan v. the United Kingdom*, no. 48539/99, § 47, ECHR 2002-IX).

135. და ბოლოს, სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციით გარანტირებულ უფლებაზე უარის თქმა – იმ მოცულობით რა მოცულობითაც ეს ნებადართულია – წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებთან, უნდა იქნეს დადგენილი ცალსახად და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინიმალური გარანტიებით, რომლებიც შესაბამისი უნდა იყოს უარის მნიშვნელობასთან (*Sejdovic v. Italy* [GC], no. 56581/00, § 86, ECHR 2006-II). უფრო მეტიც, მანამ სანამ ვიტყვით, რომ ბრალდებულმა თავისი ქმედებით არაპირდაპირი გზით უარი განაცხადა მე-6 მუხლით გარანტირებულ მნიშვნელოვან უფლებაზე, უნდა დადასტურდეს, რომ მას გონივრულად შეეძლო განეჭვრიტა თუ რა შედეგებს გამოიღებდა მისი საქციელი (იხ. *Talat Tunç v. Turkey*, no. 32432/96, § 59, 2007 წლის 27 მარტი, და *Jones v. the United Kingdom* (dec.), no. 30900/02, 2003 წლის 9 სექტემბერი).

2. ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

136. წინამდებარე საქმის გარემოებებს, რომ დავუბრუნდეთ, სასამართლო ადგენს, რომ 2000 წლის 5 სექტემბერს მისი დაკავების შემდგომ, განმცხადებელი დაკითხა ხ.ა.მ. როგორც ჩანს დაკითხვა წარიმართა ადვოკატის დაუსწრებლად და განმცხადებელმა უარყო დ-ს მკვლელობა (იხ. ზემოთ მე-8 და მე-9 პუნქტები). მეორე დღეს განმცხადებელმა დაიქირავა კერძო ადვოკატი ა.ა., რომელმაც მოინახულა იგი პოლიციის განყოფილებაში.

137. როგორც ჩანს 2000 წლის 8 სექტემბერს, ანუ იმ დღეს, როდესაც განმცხადებელმა მისცა აღიარებითი ჩვენება, რომელიც განმცხადებლის მტკიცებით ზეწოლის შედეგად იქნა მოპოვებული, მისმა ადვოკატმა ა.ა.-მ ვერ შეძლო განმცხადებლის მონახულება იზოლატორში (იხ. 53-ე და 55-ე პუნქტები). მხარეებს შორის სადაო არ გამხდარა ის ფაქტი, რომ ამის შემდგომ განმცხადებელს არ მიეცა ხელმისაწვდომობა თავის ადვოკატზე 2000 წლის 12 სექტემბრამდე. ხსენებულთან დაკავშირებით, სასამართლო განსაკუთრებით

შემაშფოთებლად მიიჩნევს ა.ა-ს არგუმენტაციას, რომელიც მან რამოდენიმეჯერ წარუდგინა ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს იმასთან დაკავშირებით, რომ 2000 წლის 8 სექტემბრის შემდგომ დღეებში მას წაერთვა შესაძლებლობა ხელმისაწვდომობა ჰქონოდა მის დაცვის ქვეშ მყოფთან და რომ დ-ს მკვლელობასთან დაკავშირებული გამოძიების მწარმოებელმა ხელისუფლების ორგანოებმა შეცდომაში შეიყვანეს იგი განმცხადებლის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით (ibid.).

138. სასამართლო ასევე მხედველობაში იღებს მთავრობის მიერ იმ ფაქტის აღიარებას, რომ განმცხადებლის აღიარება მოპოვებულ იქნა მისი ადვოკატის დაუსწრებლად (იხ. 128-ე და 129-ე პუნქტები). სასამართლო ასევე ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ როგორც კი განმცხადებელს ხელმისაწვდომობა მიეცა ადვოკატ ა.ა-ზე, და ამის შემდგომ იგი დაკითხეს მისი თანდასწრებით 2000 წლის 13 სექტემბერს, განმცხადებელმა გადათქვა აღიარებითი ჩვენება, და დაიწყო იმის მტკიცება, რომ ჩვენება მისგან მოიპოვეს ზეწოლის შედეგად და ადვოკატის დაუსწრებლად.

139. მთავრობის იმ მტკიცებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც აღიარებითი ჩვენების მიცემის დროს ეროვნული კანონმდებლობა სავალდებულო წესით არ მოითხოვდა ადვოკატის დასწრებას, სასამართლო იმეორებს, რომ მის ფუნქციას არ წარმოადგენს აბსტრაქტულად იმის გადაწყვეტა შესაბამისი ეროვნული სამართალი შესაბამისობაშია კონვენციასთან თუ არა, ისევე როგორც იმის შეფასება ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა დაიცვეს კანონმდებლობა თუ არა, არამედ სასამართლოს ფუნქციას წარმოადგენს იმის შეფასება დაცული იყო თუ არა მე-6 მუხლის მოთხოვნები (*Ringeisen v. Austria*, 1971 wlis 16 ivlisi, § 97, Series A no. 13).

140. კვლავაც ადასტურებს რა მის მიერ კონვენციის მე-3 მუხლის არსებით მხარესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას, სასამართლო აცხადებს, რომ მან მიიჩნია, რომ განმცხადებელს გააჩნდა “საფუძვლიანი პრეტენზია” პოლიციის მიერ მის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით (იხ. 111-ე პუნქტი). სამწუხაროდ, ხელისუფლების ეროვნული ორგანოების მიერ განხორციელებულმა გამოძიებამ ვერ მოფინა ნათელი იმ გარემოებებს, რომელშიც განმცხადებლის აღიარებითი ჩვენება იქნა მიღებული. ხსენებული შესაძლებლობა არ მიეცა არც სასამართლოს, რათა მას გამოერკვია შესაბამისი გარემოებები და გაეფანტა ყოველგვარი ეჭვი ზემოხსენებულ პრეტენზიასთან დაკავშირებით.

141. ზემოხსენებული მოსაზრებების, ისევე როგორც მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციისა და მასალების გათვალისწინებით, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქმეში არ მოიპოვება რაიმე სახის მინიშნება იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელმა თავისი ნებით უარი განაცხადა სამართლებრივ დახმარებაზე 2000 წლის 8-9 სექტემბერს ან ამის შემდგომ (*Savaş v. Turkey*, no. 9762/03, §§ 66-67, 2009 წლის 8 დეკემბერი).

142. სასამართლო ასევე ადგენს, რომ წინამდებარე საქმეში, გარდა ზეწოლასთან დაკავშირებული პრეტენზიისა, განმცხადებელი ასევე ჩიოდა იმასთან დაკავშირებით, რომ მისი აღიარებითი ჩვენება ამორიცხულ უნდა ყოფილიყო

სასამართლოს მიერ განსახილველ მტკიცებულებათა სიიდან, რადგანაც ეს ჩვენება მოპოვებულ იქნა მისი სამართლებრივი წარმომადგენლის დაუსწრებლად.

143. როგორც ეს ნათლად ჩანს 2001 წლის 15 იანვრის განაჩენიდან, საქმის განმხილველმა სასამართლომ განმცხადებელი ბრალეულად ცნო მკვლელობის ჩადენაში მის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენების საფუძველზე, რომელიც გამყარებული იყო ასევე სხვა მტკიცებულებებით (იხ. 65-ე პუნქტი). სასამართლომ უკვე განიხილა ის გარემოებები, რომელშიც მოპოვებულ იქნა აღიარებითი ჩვენება, და ისინი საეჭვოდ მიიჩნია. ასევე ნათლად იკვეთება, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სააპელაციო სასამართლოებმა განიხილეს ზეწოლასთან დაკავშირებული განმცხადებლის არგუმენტაცია, შესაბამისი სასამართლოების გადაწყვეტილებების არ შეიცავს რაიმე სახის არგუმენტაციას ადვოკატის დასწრების საკითხთან დაკავშირებით, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ განმცხადებელი მუდმივად აყენებდა ხსენებულ საკითხს საქმის განმხილველი და სააპელაციო სასამართლოების წინაშე (იხ. 58-ე და 67-69-ე პუნქტები). ხსენებულიდან გამომდინარე სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ განმცხადებლის პრეტენზიებს გაეცა შესაბამისი პასუხი ეროვნული სასამართლოების მხრიდან და თვლის, რომ წინამდებარე საქმეში არ განხორციელებულა სამართლიანი პროცედურები რათა შეფასებულიყო სამართლებრივი დახმარების საკითხი (ანუ აღიარებითი ჩვენების მიცემისას ადვოკატის დასწრება).

144. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის იმ აღიარებითი ჩვენების გამოყენება, რომელიც მოპოვებულ იქნა ისეთ გარემოებებში, რომელიც წარმოშობს ეჭვს ამ ჩვენების საკუთარი ნებით მიცემასთან დაკავშირებით, ისევე როგორც აღიარებითი ჩვენების მიცემა ადვოკატის დაუსწრებლად, ერთად აღებული იმ ფაქტთან, რომ განმცხადებელი არ იყო უზრუნველყოფილი შესაბამისი გარანტიებით სასამართლო განხილვისას, არასამართლიანი გახდა განმცხადებლის საქმის სასამართლო განხილვა.

145. შესაბამისად დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ამავე მუხლის მე-3 (გ) პუნქტთან კავშირში.

146. ზემოხსენებული დასკენიდან გამომდინარე, სასამართლო საჭიროდ აღარ მიიჩნევს განმცხადებლის სხვა პრეტენზიების განხილვას მე-6 მუხლთან დაკავშირებით.

III. კონვენციის 34-ე მუხლის სავარაუდო დარღვევა

147. სასამართლომ თავისი ინიციატივით აღძრა საკითხი იმასთან დაკავშირებით დაექვემდებარა თუ არა განმცხადებელი დაშინებას, რაც თავის მხრივ წარმოადგენდა კონვენციის 34 მუხლის შესაბამისად მის მიერ ინდივიდუალური განაცხადის წარდგენის უფლებით ეფექტიანად სარგებლობისათვის შექმნილ ბარიერს. ხსენებული ეხება 2004 წლის 6 იანვრის მოვლენებს. კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად:

სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი ფიზიკური პირის, არასამთავრობო ორგანიზაციის ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშეშეკრული მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი.

მაღალი ხელშემაკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არაფრით შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას.

ა. მხარეთა არგუმენტაცია

148. მთავრობამ აღიარა, რომ 2004 წლის 6 იანვარს კაპიტანი გ., რომელიც იყო აღსრულების სამსახურის რეგიონული ბიუროს წარმომადგენელი, ესაუბრა განმცხადებელს. თუმცა, მთავრობა აცხადებდა, რომ საუბრის მიზანს წარმოადგენდა “იმ გარემოებების გადამოწმება, რომლებიც საფუძვლად დაედო განმცხადებლის მიერ ევროპულ სასამართლოში განაცხადის წარდგენას” და “სრული ინფორმაციის მიღება წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით იმ მიზნით, რომ მომზადებულიყო მთავრობის მიერ სასამართლოსათვის წარსადგენი არგუმენტაცია”. განმცხადებლის მიმართ არ განხორციელებულა რაიმე სახის ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ზეწოლა, რასაც ადასტურებდა განმცხადებლის მიერ 2004 წლის 3 მარტს მიცემული წერილობითი ჩვენება, სადაც განმცხადებელი აცხადებდა, რომ მას არ გააჩნდა რაიმე სახის პრეტენზია კოლონიის ადმინისტრაციასთან ან აღსრულების ბიუროს რეგიონალური დეპარტამენტის მიმართ.

149. განმცხადებელმა ხაზი გაუსვა მთავრობის აღიარებას იმასთან დაკავშირებით, რომ მასსა და კაპიტან გ-ს შორის ნამდვილად შედგა საუბარი. დაეყრდნო რა მის მიერ და ჩ.მ-ს მიერ 2005 წლის 11 ივლისს მიცემულ ჩვენებებს, განმცხადებელმა განაცხადა, რომ მთავრობის მტკიცების საპირისპიროდ, გ-მ განახორციელა მასზე ზეწოლა, რათა მას შეეცვალა თავისი პოზიცია სასამართლოში წარდგენილ განცხადთან დაკავშირებით და უარყო პოლიციაში განხორციელებული სავარაუდო ცემა. კერძოდ, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ გ-მ უბრძანა მას დაეწერა განმარტება ზემოხსენებულ მოვლენებთან დაკავშირებით მისი მითითებების შესაბამისად და დაემუქრა განმცხადებელს ანგარიშსწორებით მას შემდგომ, რაც მან ამაზე უარი განაცხადა. განმცხადებელმა თხოვნით მიმართა სასამართლოს, რათა მას გაეთვალისწინებინა მისი, როგორც პატიმრის, მოწყვლადი მდგომარეობა, რომლის კეთილდღეობაც სრულად იყო დამოკიდებული ხელისუფლების ორგანოებზე. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ხელისუფლების ორგანოებს გააჩნდათ მრავალი საშუალება, რათა ციხეში მისი ყოფნა აუტანელი გამხდარიყო, მაგალითის სახით კი მოიყვანა მისთვის მუშაობის უფლების ჩამორთმევა. განმცხადებლის, როგორც პატიმრის, ზოგადი მოწყვლადობა კიდევ უფრო გაუარესდა იმ ფაქტით, რომ შესაბამის დროს მას არ გააჩნდა წარმომადგენელი სასამართლოს წინაშე; მან დაიქირავა EHRAC-ის ადვოკატები მხოლოდ კაპიტან გ-სთან გამართული საუბრიდან 10 თვის შემდგომ. უფრო მეტიც, მათი საუბრის დროს, კაპიტანმა გ-მ ცალსახად უარყო განმცხადებლის მოთხოვნა მისი ადვოკატის დასწრებასთან დაკავშირებით. და ბოლოს 2004 წლის მარტისა და 2005 წლის ივლისის მოვლენებზე მითითებით, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ იგი დაექვემდებარა დაშინებას ხელისუფლების ორგანოების მხრიდან

ბ. სასამართლოს შეფასება

150. სასამართლო იმეორებს, რომ 34-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური განაცხადის სისტემის ეფექტიანი მოქმედებისათვის, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ განმცხადებლებს ან პოტენციურ განმცხადებლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ თავისუფლად განახორციელონ კომუნიკაცია

სასამართლოსთან და არ დაექვემდებარონ რაიმე სახის ზეწოლას ხელისუფლების ორგანოების მხრიდან იმ მიზნით, რომ მათ გამოიტანონ ან შეცვალონ სასამართლოს წინაშე წარდგენილი განაცხადი (სხვა მაგალითებს შორის იხ. *Akdivar and Others v. Turkey*, 1996 წლის 16 სექტემბერი, § 105, *Reports* 1996-IV, და *Aksoy v. Turkey*, 1996 წლის 18 დეკემბერი, § 105, *Reports* 1996-VI).

151. ტერმინ “რაიმე სახის ზეწოლა”-ში იგულისხმება, როგორც პირდაპირი ზეწოლა და განმცხადებლის ან მათი სამართლებრივი წარმომადგენლების დასაშინებლად განხორციელებული აშკარა ქმედებები, არამედ ასევე სხვა არაჯეროვანი არაპირდაპირი ქმედებები ან კონტაქტები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის გადარწმუნება ან სურვილი გაქრობა, რომ მათ გამოიყენონ კონვენციით უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის საშუალება ან განახორციელონ “დამაკნინებელი ეფექტი” განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ ინდივიდუალური განაცხადით სარგებლობასთან დაკავშირებით (*Mechenkov v. Russia*, no. 35421/05, § 116, 2008 წლის 7 თებერვალი, შემდგომი მითითებებით).

152. ამასთანავე, ის ფაქტი, წარმოადგენს თუ არა ხელისუფლების ორგანოებსა და განმცხადებელს შორის კონტაქტი 34-ე მუხლის შეუსაბამო პრაქტიკას, განსაზღვრულ უნდა იქნეს საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. ხსენებულთან დაკავშირებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განმცხადებლის მოწვევადი მდგომარეობა და ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მის მიმართ განხორციელებული ზეგავლენისადმი მგრძნობიარობა (ზემოხსენებული *Akdivar and Others*-ის საქმე, § 105, და *Kurt v. Turkey*, 1998 წლის 25 მაისი, § 160, *Reports* 1998-III). განმცხადებლის მდგომარეობა განსაკუთრებულად მოწვევადი შეიძლება იყოს მაშინ, როდესაც იგი იმყოფება ციხეში და მას შეზღუდული აქვს კონტაქტები ოჯახსა და გარესამყაროსთან (*Cotlet v. Romania*, no. 38565/97, § 71, 2003 წლის 3 ივნისი).

153. წინამდებარე საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ მხარეებს შორის სადაო არ გამხდარა ის ფაქტი, რომ 2004 წლის 6 იანვარს აღსრულების ბიუროს ოფიცერი ესაუბრა განმცხადებელს მის მიერ სასამართლოში შეტანილ განაცხადთან დაკავშირებით.

154. განმცხადებლის თანახმად, საუბრისას გ-მ განახორციელა მასზე ზეწოლა იმ მიზნით, რომ მას დაეწერა ჩვენება, რაც წინააღმდეგობაში მოვიდოდა მის მიერ სასამართლოს წინაშე წარდგენილ განაცხადში მითითებულ ერთ ერთ პრეტენზიასთან და დაემუქრა განმცხადებელს ანგარიშსწორებით, როდესაც განმცხადებელმა უარი განაცხადა მოთხოვნის შესრულებაზე. ხსენებულთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ საუბრიდან მოკლე ხანში განმცხადებელმა, თავისი ძმის საშუალებით, სასამართლოს აცნობა ხსენებული ფაქტის შესახებ (იხ. 71-ე პუნქტი). მას შემდგომ, რაც სასამართლომ აცნობა მთავრობას ხსენებული მოვლენების შესახებ, განმცხადებელმა კვლავ გაიმეორა თავისი პრეტენზიები და წარუდგინა სასამართლოს კაპიტან გ-სთან საუბრის სრული დეტალები (იხ. 76-ე პუნქტი). მოვლენების აღწერას ამყარებდა ჩ.მ-ს წერილობითი ჩვენება, რომელმაც მოინახულა განმცხადებელი კოლონიაში (იხ. ზემოთ 82-ე პუნქტი). ჯამში, განმცხადებელმა არამხოლოდ სწრაფად აცნობა სასამართლოს გამართული საუბრის შესახებ, არამედ რამოდენიმე

მტკიცებულებაც წარმოადგინა თავისი არგუმენტაციის გასამყარებლად და იგი ყოველთვის თანმიმდევრული იყო მოვლენების აღწერაში.

155. მთავრობამ უარყო კაპიტან გ-სთან განხორციელებული საუბრისას განმცხადებლის მიმართ რაიმე ზეწოლის განხორციელება და განაცხადა, რომ საუბარი მიზნად ისახავდა მხოლოდ განმცხადებლისაგან ინფორმაციის მოპოვებას განსაკუთრებით იმ მიზნით, რომ მომზადებულიყო სასამართლოსათვის წარსადგენი მთავრობის პოზიცია. თუმცა მთავრობას არ წარუდგენია სასამართლოსათვის რაიმე სახის დოკუმენტაცია, მაგალითად, საუბრის ჩანაწერი, რომელიც გააბათილებდა განმცხადებლის არგუმენტაციას ან საექვსოს გახდიდა წარმოებული საუბრის შინაარსის განმცხადებლისეულ აღწერას (*Popov v. Russia*, no. 26853/04, § 249, 2006 წლის 13 ივლისი).

156. მთავრობის იმ მტკიცებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც საუბრის მიზანს წარმოადგენდა “განმცხადებლის მიერ სასამართლოში წარდგენილი განაცხადის განმაპირობებელი გარემოებების გადამოწმება” და რომელიც იმგვარად შეიძლება გავიგოთ, რომ გულისხმობდა ხელისუფლების ორგანოების სურვილს გადაემოწმებინათ განმცხადებლის მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული პრეტენზიები (შეადარეთ *Popov* –ის საქმეს), სასამართლო უცნაურად მიიჩნევს, რომ გავიდა 1 წლიანი შუალედი გ-ს ვიზიტსა და იმ საგამოძიებო ქმედებებს შორის, რომლებიც განხორციელდა 2005 წელს დამატებითი გამოძიებისას. ნებისმიერ შემთხვევაში შესაბამის დოკუმენტაციაში არაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ეროვნულ დონეზე განხორციელებული დამატებითი მოკვლევა კავშირში იყო კაპიტან გ-ს მიერ განმცხადებლის გამოკითხვასთან. ჯამში, სასამართლო ვერ დარწმუნდა მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტებით და მიაჩნია, რომ სადაო საუბარი წარმართა იმგვარად, როგორც ეს აღწერა განმცხადებელმა.

157. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განმცხადებლის თანახმად კაპიტან გ-სთან 2004 წლის 3 მარტის შეხვედრის გარდა, იგი მოინახულეს ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმაც, რომლებმაც მას კითხვები დაუსვეს მის მიერ სასამართლოს წინაშე წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით და იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც საფუძვლად დაედო განაცხადს, განსაკუთრებული ყურადღება კი გამახვილებული იყო სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე (იხ. 78-ე და 80-ე პუნქტები). მთავრობას არ წარმოუდგენია საპასუხო არგუმენტაცია ხსენებულ არგუმენტაციასთან დაკავშირებით და არც სადაოდ გაუხდია ის. თუმცა მთავრობამ სასამართლოს წარუდგინა 2004 წლის 3 მარტით დათარიღებული განმცხადებლის წერილობითი ჩვენება, რომელიც ადასტურებდა, რომ ხსენებულ დღეს განმცხადებელი კვლავ დაკითხეს სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით (იხ. 74-ე პუნქტი). ხსენებულთან დაკავშირებით სასამართლო ეჭვის თვალთ უყურებს იმ სიტუაციას, როდესაც მას შემდგომ რაც პატიმრობაში მყოფმა პატიმარმა პრეტენზია გამოთქვა მის მიმართ ციხის ოფიცრების მიერ განხორციელებულ ზეწოლასთან დაკავშირებით და ხსენებულის შესახებ სასამართლომ აცნობა მთავრობას, ამ უკანასკნელმა სასამართლოს წარუდგინა იმავე განმცხადებლის ჩვენება, რომლის თანახმადაც მას არ გააჩნდა რაიმე სახის პრეტენზია რაიმე მოვლენასთან დაკავშირებით.

158. რაც შეეხება განმცხადებლის არგუმენტაციას იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლების ვიზიტის შემდგომ მას მოუხდა სამუშაოს დატოვება კოლონიაში, რომ იგი გადაიყვანეს უარეს

საცხოვრებელ პირობებში და დაემუქრნენ სისხლის სამართლის აღძვრით ყალბი ჩვენების მიცემისათვის, სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას ეს ჩვენებები სადაო არ გაუხდია, ხსენებული პრეტენზიები არ არის გამყარებული საქმეში არსებული რაიმე სახის მტკიცებულებით.

159. მიუხედავად ხსენებულისა, 154-157-ე პუნქტებში მოცემული ფაქტები, საკმარისია სასამართლოსათვის, რათა მან დაასკვნას, რომ განმცხადებელს საფუძვლიანად ჩაეთვალა რომ მის მიმართ ხორციელდებოდა დაშინება კაპიტან გ-სთან საუბრის შემდგომ, ისევე როგორც, ხელისფლების სხვა წარმომადგენლების მიერ განხორციელებული დაკითხვის შემდგომ. განმცხადებელს ასევე სამართლიანი შიში უნდა გასჩენოდა იმ ანგარიშსწორებასთან მიმართებაში, რომელიც უკავშირდებოდა მის მიერ სასამართლოში განაცხადის წარდგენას. შესაბამისად სასამართლო თვლის, რომ იგი დაექვემდებარა არაკანონიერ ზეწოლას, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალური განაცხადით მიმართვის მის უფლებაში ჩარევას.

160. შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება.

IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

161. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშეშეკრული მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს”.

ა. ზიანი

162. განმცხადებელი მოითხოვდა 15.000 ევროს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. განმცხადებელი ასევე მოითხოვდა სასამართლოსაგან, რათა სამართლიანობის აღსადგენად სასამართლოს, მოპასუხე სახელმწიფო დავეალდებულებინა ხელახლა განეხილა მისი საქმე.

163. მთავრობამ განაცხადა, რომ რადგანაც განმცხადებლის უფლებები არ ყოფილა დარღვეული, სასამართლოს არ უნდა მიეღო განმცხადებლის პრეტენზიები. ალტერნატივის სახით, მთავრობა ამტკიცებდა, რომ სასამართლოს მიერ დარღვევის დადგენა, თავად იქნებოდა საკმარისი სამართლიანი დაკმაყოფილება.

164. პირველ რიგში სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეში მან დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (გ) პუნქტის დარღვევა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან კავშირში. იმდენად რამდენადაც განმცხადებლის პრეტენზია ეხება დარღვევის დადგენას, სასამართლო იმეორებს, რომ მაშინ როდესაც განმცხადებელს დაედო მსჯავრი მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის პოტენციურ დარღვევას, განმცხადებელი მაქსიმალურად უნდა იქნეს ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებული, რომელშიც იგი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი დაცული იქნებოდა ხსენებული დებულების მოთხოვნები და პრინციპში უფლებაში აღდგენის ყველაზე შესაფერის

ფორმად უნდა მივიჩნიოთ ახალი სამართალწარმოების აღძვრა ან სამართალწარმოების განახლება, თუკი ამას მოითხოვს განმცხადებელი (*Öcalan v. Turkey* [GC], no. 46221/99, § 210 in fine, ECHR 2005-IV, და ზემოხსენებული *Popov*-ის საქმე § 264). ხსენებულთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 413-ე მუხლის თანახმად სისხლის სამართალწარმოების განახლება შესაძლებელია სტრასბურგის სასამართლოს მიერ კონვენციის დარღვევის დადგენის შემთხვევაში (იხ. 98-ე პუნქტი).

165. რაც შეეხება განმცხადებლის პრეტენზიებს მორალურ ზიანთან დაკავშირებით, სასამართლომ წინამდებარე საქმეში დაადგინა კონვენციის დარღვევის 3 შემთხვევა. წინამდებარე გარემოებებში, სასამართლო თვლის, რომ განმცხადებლის მიერ განცდილი ტანჯვა და ფრუსტრაცია, არ შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ დარღვევის დადგენით. განახორციელა რა შეფასება თანასწორობის საფუძველზე, სასამართლო აკუთვნებს განმცხადებელს მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის მოთხოვნილ თანხას პლიუს ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შესაძლოა დაიბეგროს განმცხადებელი.

ბ. ხარჯები და გაწეული დანახარჯები

166. განმცხადებელი მოითხოვდა 40000 რუსულ რუბლს ეროვნულ დონეზე ა.ა-ს და ჩ.მ-ს მიერ გაწეული სამართლებრივი წარმომადგენლობისათვის. ამასთანავე განმცხადებელმა სასამართლოს წარუდგინა დაწვრილებითი ანგარიშგება, რომელიც უკავშირდებოდა სტრასბურგის სასამართლოს წინაშე მისი ინტერესების წარმოდგენას და რომელიც მოიცავდა გამოკითხვას, კვლევას და სასამართლოს წინაშე წარსადგენი დოკუმენტაციის შედგენას, რომლის ფასიც იყო საათში 50 ევრო ქნი ვედერნიკოვასათვის და საათში 100 გირვანქა სტერლინგი ბ-ნი ლიჩისათვის. განმცხადებელი ასევე მოითხოვდა თარგმანთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას. შესაბამისი ხარჯები შემდეგნაირად იყო გაწერილი: 2700 ევრო ქალაბატონი ვედერნიკოვას მომსახურებისათვის, რომელიც უნდა გადახდილიყო მის რუსეთში არსებულ ანგარიშზე; 766 ფუნტი სტერლინგი ბ-ნი ლიჩის მომსახურებისათვის და 1831,65 ფუნტი თარგმანისათვის, რომელიც უნდა გადახდილიყო EHRAC-ის ანგარიშზე გაერთიანებულ სამეფოში. საერთო ჯამში განმცხადებლის მოთხოვნა ხარჯებსა და გაწეულ დანახარჯებთან დაკავშირებით შეადგენდა 7624.73 ევროს.

167. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის პრეტენზიები დაუსაბუთებელი იყო ა.ა-ს მომსახურებასთან დაკავშირებით. მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის ინტერესების წარმოდგენა EHRAC-ის 2 ადვოკატის მიერ არ იყო გამართლებული. მთავრობამ პრეტენზია განაცხადა განმცხადებლის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომ შესაბამისი ხარჯები გადახდილი ყოფილიყო მისი წარმომადგენლების ანგარიშებზე.

168. სასამართლო იმეორებს, რომ მხოლოდ სამართლებრივი ხარჯები და გაწეული დანახარჯები, რომელთა გაღებაც მოხდა რეალურად და საჭიროებისამებრ და რომლებიც თავისი მოცულობით გონივრულია, შესაძლებელია ანაზღაურდეს კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად (*McCann and Others v. the United Kingdom*, 1995 წლის 27 სექტემბერი, § 220, Series A no. 324). სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ეროვნულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები მხოლოდ იმ

შემთხვევაში შეიძლება ანაზღაურდეს თუკი მათი გაღება მოხდა განმცხადებლის მიერ იმ დარღვევათა აღსაკვეთად, რომლებიც დაადგინა სასამართლომ ან დარღვეულ უფლებაში აღსადგენად (*Peck v. the United Kingdom*, no. 44647/98, § 127, ECHR 2003-I).

169. სასამართლო იზიარებს მთავრობის მოსაზრებას, რომ განმცხადებელმა ვერ დაადასტურა მისი პრეტენზიები ა.ა-ს მიერ გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით. ამავე დროს სასამართლო არ თვლის, რომ განმცხადებლის ინტერესების წარმოდგენა 2 ადვოკატის მიერ გადაჭარბებული იყო ან ის რომ მათთვის გადასახდელი შესაბამისი თანხები არაგონივრული იყო. ბოლოს, სასამართლო ადგენს, რომ მის მიერ დადგენილი სტანდარტული პრაქტიკის თანახმად მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ხარჯებსა და გაწეულ დანახარჯებთან დაკავშირებული თანხები გადახდილ იქნეს პირდაპირ განმცხადებლის წარმომადგენლების ანგარიშებზე (*Toğcu v. Turkey*, no. 27601/95, § 158, 2005 წლის 31 მაისი; *Nachova and Others v. Bulgaria* [GC], nos. 43577/98 და 43579/98, § 175, ECHR 2005-VII, და *Imakayeva v. Russia*, no. 7615/02, ECHR 2006-XIII (ამონარიდები)).

170. ზემოხსენებული პრინციპების, ისევე როგორც ხელთარსებული დოკუმენტების გათვალისწინებით სასამართლო ანიჭებს განმცხადებელს 5700 ევროს ხარჯებისა და გაწეული დანახარჯებისათვის, რასაც უნდა დაემატოს ნებისმიერი სახის გადასახადი, რომლითაც შეიძლება განმცხადებელი დაიბეგროს. ხსენებული თანხიდან 2700 ევრო უნდა გადაეხადოს განმცხადებლის ადვოკატ ბ-ნ ლიჩს გაერთიანებულ სამეფოში არსებულ მის ანგარიშზე, როგორც ეს მიუთითა განმცხადებელმა, 2700 ევრო გადახდილ უნდა იქნეს განმცხადებლის ადვოკატ ქ-ნ ვედერნიკოვას ანგარიშზე რუსეთში, როგორც ეს მიუთითა განმცხადებელმა და 300 ევრო უნდა გადარიცხულ იქნეს განმცხადებლის საბანკო ანგარიშზე.

გ. საურავი

170. სასამართლო შესაფერისად თვლის, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური ნიხრით, რასაც უნდა დაემატოს თანხის სამი პროცენტი.

ხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად:

1. უარყოფს მთავრობის პირველად პრეტენზიას განმცხადებლის მიერ მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით სამართლებრივი დაცვის ყველა ეროვნული საშუალების არ ამოწურვასთან დაკავშირებით;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული მხარე;
3. ადგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი მხარე;
4. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (გ) პუნქტი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან კავშირში;

5. ადგენს, რომ მოპასუხე მთავრობამ დაარღვია კონვენციის 34-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულება

6. ადგენს

ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ იმ მომენტიდან 3 თვის ვადაში, როდესაც წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განმცხადებელს, უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხები;

(i) 15 000 ევრო (თხუთმეტი ათასი ევრო) მორალური ზიანისათვის, რაც კონვერტირებულ უნდა იქნეს რუსულ რუბლებში გადახდის დღისათვის არსებული კურსით, და ამ თანხას უნდა დაემატოს ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება, რომ დაიბეგროს განმცხადებელი

(ii) 5700 ევრო (ხუთი ათას შვიდასი ევრო), პლიუს ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება განმცხადებელი დაიბეგროს, ხარჯებისა და გაწეული დანახარჯებისათვის, რომლიდანაც 2700 ევრო (ორი ათას შვიდასი ევრო) უნდა იქნეს გადახდილი განმცხადებლის ადვოკატ ბ-ნ ლიჩისათვის გაერთიანებულ სამეფოში, როგორც ეს მიუთითა განმცხადებელმა; 2700 ევრო (ორი ათას შვიდასი ევრო) უნდა იქნეს გადახდილი განმცხადებლის ადვოკატ ქ-ნ ვედერნიკოვას ანგარიშზე რუსეთში როგორც ეს მიუთითა განმცხადებელმა; და 300 ევრო (სამასი ევრო) უნდა იქნეს გადახდილი განმცხადებლის ანგარიშზე;

ბ) რომ ზემოხსენებული 3 თვიანი ვადის გასვლის შემდგომ გადახდის დღემდე საურავი უნდა იქნეს გადახდილი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამ პროცენტიანი განაკვეთი

7. უარყოფს განმცხადებლის სხვა პრეტენზიებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, და გაცხადებულია წერილობითი სახით 2010 წლის 13 ივლისს სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად

სანტიაგო კუესადა
რეგისტრატორი

ჯოსეფ კასადევალი
თავმჯდომარე